MES 9 21 0001350561

10/12/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 26.11.2021-27.11.2021**
**სხდომის დაწყების დრო: 15:08 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 00:25სთ**
**სხდომის თავმჯდომარე: ნიკა თიკანაშვილი (I საკითხი)**
**სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (II, III, IV საკითხი)**
**საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (I, II საკითხი);**
**სხდომი მდივანი: მაკა კაჭარავა (III, IV საკითხი)**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**
**1. ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**2. მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
**3. ანა ფირცხალაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
**4. გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

**5. ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
**6. გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
**7. ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
**8. ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
**9. გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
**10. დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
**11. დიანა მჭედლიშვილი -** შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
**12. ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
**13. თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**14. თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
**15. მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
**16. ნინო ინასარიძე** - „CNFA საქართველოს“ გარემოს დაცვის მენეჯერი.

**სხდომაზე დამსწრე პირები**
**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | ნიკოლოზ ფარჯანაძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი |
| 2 | თამთა ანთაძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 3 | ნინო სარჯველაძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 4 | ნიკა გიგაური | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 5 | ნინო გულიაშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი |

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

| N | სახელი, გვარი | საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | დავით მახვილაძე | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | I |
| 2 | გ იორგი ქვარცხავა | | აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი | I |
| 3 | ნინო ლომიძე | | აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | I |
| 4 | აკაკი გუნცაძე | | აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი | I |
| 5 | ნინო ჩხარტიშვილი | | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „მევენახეობა და მეღვინეობა“ ხელმძღვანელი | I |
| 6 | შალვა შათირიშვილი | | ასოცირებული პროფესორი | I |
| 9 | დავითი მაღრაძე | | პროფესორი | I |
| 10 | ნანული დანელია | | ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი | I |
| 11 | ნესტან ციციშვილი | ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი; | II |
| 12 | ჟანა ანთია | | უნივერსიტეტის კანცლერის მოვალეობის შემსრულებელი | II |
| 13 | ნანი მაჭარაშვილი | | საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი | II |
| 14 | ნათია ჭიღვარია | | საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი | II |
| 15 | დავით წასიძე | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | II |
| 16 | ელენე ბერიძე | | ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | II |
| 17 | გიორგი ტომარაძე | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი | II |
| 18 | რამაზ კუკულაძე | | | III |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | უნივერსიტეტის პრეზიდენტი | |
| **19** | ნათია ვაჭარაძე | **შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი** | ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორი | **III** |
| **20** | ქეთევან ცხადაძე | | ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი | **III** |
| **21** | გიორგი ლემონჯავა | | პროგრამის ხელმძღვანელი | **III** |
| **22** | ნუგზარ სხირტლაძე | **შპს კავკასიის უნივერსიტეტი** | უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში | **IV** |
| **23** | დავით ნატროშვილი | | ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი | **IV** |
| **24** | ფლორა (კესო) ესებუა | | პროგრამის ხელმძღვანელი | **IV** |

**აკრედიტაციის ექსპერტები:**

| **N** | **სახელი, გვარი** | **ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ** | **საკითხი** |
|---|---|---|---|
| 1 | ოლანი გოცირიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 2 | ედვარდ შერმადინი | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 3 | ქრისტინე ჩიხლაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I. II |
| 4 | ნინო ხუბულია | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 5 | ნინო ფარსადანიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 6 | ნოდარ ხერხეულიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 7 | ოთარ ბაღათურია | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 8 | თათია უბერი | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 9 | ნინო ფავლენიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 10 | გვანცა აბდალაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 11 | ნინო პატარაია | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 12 | ნანა ფირცხელანი | (ჩაერთო „ზუმით“) | III |
| 13 | იაგო კაჭკაჭიძვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 14 | მარიამ დალაქიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 15 | თამთა ცხოვრებაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |
| 16 | ლანა ბოკუჩავა | (ჩაერთო „ზუმით“) | IV |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნინო იმნაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:08 საათზე.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობა და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ალტე უნივერსიტეტის (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი) „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**
1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობა და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ალტე უნივერსიტეტის (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი) „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**1. პირველი საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობა და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მევენახეობა და მეღვინეობა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | გადაწყვეტილება №408241 25.05.2020 |
| 5 | | - |

| | | |
|---|---|---|
| | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეშვიდე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | მევენახეობისა და მეღვინეობის მაგისტრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | ინტერდისციპლინური – მოიცავს სოფლის მეურნეობას მეტყევეობას, მეთევზეობასა და ვეტერინარიას - 0888 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | მ. კოსტავას ქ. №77, თბილისი, 0175, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

**აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას მიმდინარე საკითხის განხილვის პერიოდში უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა.**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო შემდეგნაირად: პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის

მოთხოვნებთან; მეორე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ოლანი გოცირიძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფში იყვნენ ოლანი გოცირიძე (თავმჯდომარე), ედვარდ შერმადინი, ქრისტინე ჩიხლაძე და ნინო ხუბულია. მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა სამუშაო ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 11-12 ოქტომბერს. პირველ დღეს შემოწმდა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები, აუდიტორიები, სადეგუსტაციო დარბაზი, ბიბლიოთეკა. ასევე შემთხვევითი შერჩევის გზით შემოწმდა ბოლო 5 წელიწადში შესრულებული სამაგისტრო ნამუშევრები. 12 ოქტომბერს დისტანციურად განახორციელა პროგრამის შეფასება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, უნივერსიტეტში ვიზიტის, გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტების შესწავლისა და ასევე ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, საგანმანათლებლო პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან გასაუბრების საფუძველზე. აკრედიტაციის პროცესმა ჩაიარა მშვიდ და კონსტრუქციულ თანამშრომლობის ვითარებაში. კომისიის წევრებმა დაუბრკოლებლად მიიღეს ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი და პასუხები დასმულ კითხვებზე. გაცემული იყო 11 რეკომენდაცია, რომლებიც ფაქტობრივად შესრულებულია, პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა დიდი სამუშაო გასწია პრობლემების აღმოსაფხვრელად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა გასცა ახალი რეკომენდაციები, რომელთა მიმართ დაწესებულების მიერ გაწერილი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**
1. რეკომენდებულია, პროგრამაში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში შემცირდეს უცხო ენის შემსწავლელი კურსების ECTS კრედიტების რაოდენობა. ეს შესაძლებელია ორი გზით: ან ერთ-ერთი სასწავლო კურსი (საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე; დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა) გადავიდეს არჩევით მოდულში, ან მოხდეს ამ ორი სასწავლო კურსის ოპტიმიზაცია ერთ სასწავლო კურსად. გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან გადმოტანილ იქნას პროფესიული განვითარებისათვის უფრო მეტად ღირებული სასწავლო კურსი (ქვევრის ღვინის ტრადიციული ტექნოლოგია; ვაზის სელექცია; მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება; ღვინის წარმოების ხარისხის მართვა) - ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით არ არის სავალდებულო ორი უცხო ენის კომპეტენციის გასაუმჯობესებელი სასწავლო კურსის შეტანა სავალდებულო ბლოკში, რადგან პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ სტუდენტმა თავი გაართვას კომუნიკაციას აღნიშნულ დონეზე, ფლობს ფართო ლექსიკას, მოსმენისა და კითხვისას სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, მას შეუძლია უცხოენოვანი დარგობრივი წყაროების გამოყენება, რომელიც საკმაო რაოდენობითაა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი. სტუდენტებთან გასაუბრებისას (ინტერვიურებისას) აღმოჩნდა, რომ ამ სასწავლო სილაბუსებში „დარგობრივი ენის თარგმნის თეორიასა და პრაქტიკაში“, დარგობრივი საკითხის თარგმნას მხოლოდ ერთი აკადემიური საათი დაეთმო, ხოლო საქმიანი კომუნიკაციები და დარგობრივი ტექსტის თარგმანი ძალიან სუფთად ლინგვისტური საკითხებია, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, თუ სტუდენტი მოდის B2 ცოდნის დონით მაშინ მას სათანადო დონე აქვს უცხოურ ლიტერატურის ასათვისებლად, გარდა ამისა შესაძლებელია სტუდენტები მოვიდნენ სხვადასხვა დონით,

შესაძლებელია მოვიდეს არა მხოლოდ B2, არამედ C დონითაც, რაც უფრო მაღალი კომპეტენციაა და რატომ ავალდებულებს დაწესებულება მას დამატებით 10 კრედიტის გახარჯვას უცხო ენის შესწავლაში და მის მიღმა დარჩეს ისეთი ფუნდამენტური დარგისათვის მნიშნველოვანი სასწავლო კურსები, როგორებიცაა „ვაზის სელექცია“, „მევენახეობის და მეღვინეობის რეგულირება“, „ღვინის წარმოების ხარისხის მართვა“, „ქვევრის ღვინის ტრადიციული ტექნოლოგია“, რომელიც არის არჩევით მოდულში, ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შემცირდეს უცხო ენის შესწავლა სავალდებულო მოდულში და გამოთავისუფლებული კრედიტი თავისუფლად შეიძლება დაეთმოს წმინდა პროფესიულ დისციპლინებს, რომლებიც მეტად გააღრმავებს პროფესიულ უნარებს, თანაც ძნელი წარმოდასგენია, რომ აქვთ ოთხენობრივი მიღება და იღებენ 15 სტუდენტს, რომელთაგან შესაძლებელია, რომ სტუდენტი სხვადასხვა დონეზე ფლობდეს უცხო ენას, ამიტომ ისინი თვითონ გადაწყვეტენ სჭირდებათ თუ არა ენობრივი კომპეტენციის ამაღლება, შეიძლება C დონეზე მოვიდა და აღარ სჭირდება დამატებითი კურსის გავლა, ამიტომ ექსპერტთრა ჯგუფმა შესთავაზა ალტერნატიული არჩევანი, არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი საკმაოდ ფართოა, მოიცავს 10 სასწავლო კურსს, მაგრამ პროგრამაში არის მხოლოდ ერთი სემესტრის მანძილზე შესაძლებლობა, რომ ისარგებლოს ამ შემოთავაზებით, შესაბამისად არჩევითი საგნების ჩამონათვალი არის დიდი, მაგრამ არჩევითობის შესაძლებლობა მცირე, რაც ამცირებს პროგრამის შინაარსს;

2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია“ გაიზარდოს მეღვინეობის ფუნდამენტური საკითხებისათვის განკუთვნილი სალექციო საათების რაოდენობა, დაემატოს ქვევრის ღვინის ტექნოლოგიის და ორგანული/ბიოდინამიური მეღვინეობის აქტუალური საკითხები - მოიცავს საკმაოდ დიდ მასალას დაწყებული ყურძნის ქიმიური შესწავლიდან, დასრულებული ღვინის ჩამოსხმით, ამავდროულად კლასიკური ფრანგული შამპანიურის, ცქრიალა და შუშხუნა ღვინოების, საბრენდე სპირტის, არაყისა და მაგარი სასმელების დამზადების ტექნოლოგიას, სილაბუსში ჩამოთვლილია ძალიან ბევრი თემა, რომელთა განხილვა ვერ მოესწრება აღნიშნული სალექციო დროის განმავლობაში. ამ ფონზე სილაბუსში არც ერთი სალექციო თემა არ ეხება ქართული ტრადიციული მეთოდით ქვევრში ღვინის დაყენების ამჟამად უკვე საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ მეთოდს. ასევე არ არის განსაზღვრული მევენახეობა-მეღვინეობის მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური მიმართულება - ორგანული მევენახეობა-მეღვინეობა. აღნიშნულ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფი არ გაამახვილებდა ყურადღებას, რადგანაც დაწესებულების წარმომადგენელს შეუძლია შეედავოს, რომ მათ აქვთ აღნიშნული სასწავლო კურსი ცალკე, მაგრამ სასწავლო კურსი „ქვევრის ღვინის ტენოლოგია“ არის არჩევითი საგნების მოდულში, ამიტომ მისი არჩევის შეესაძლებლობა არის მინიმუმი, რეალურად გამოდის, რომ სტუდენტი ამთავრებს სამააგისტრო პროგრამას და მას ქვევრის ღვინოს ტექნოლოგიაზე არცერთი სასწავლო კურსი არ აქვს გავლილი. დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში წერია, რომ ქვევრის ღვინო შედის თეთრი ღვინის კატეგორიაში და ამიტომ ზოგადი წესები ვრცელდება მასზეც, რასაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე არ დაეთანხმა, რადგან მისი განმარტებით ეს იყო ქვემდებარე აქტი, რეგულაცია;

სხდომის თავმჯდომარემ მოუწოდა ექსეპრტთა ჯგუფის თავმჯდომარეს თავი შეეკავებინა დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შეფასებისგან და უფრო მეტად ესაუბრა რეკომენდაციათა განმაპირობებელ ფაქტორებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაგრძო რეკომენდაციების წარდგენა:

3. რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს სასწავლო კურსი, რომლის მიზანი იქნება აკადემიური წერის ჩვევების განვითარება მაგისტრანტებისთვის, მათ მიერ მეცნიერული აზროვნებისა და ადეკვატური ტექსტების შექმნის უნარის გამომუშავება, დაფუძნებული იქნება საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული აკადემიური წერის პრინციპებზე და მოიცავს სამეცნიერო ნაშრომის შექმნის მეთოდებს, ხერხებსა და საშუალებებს - მისი თქმით, სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოების დაგემვის, აკადემიური წერის

საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დანერგვა და დაცვა მეტად მნიშვნელოვანია სამაგისტრო საფეხურის აკადემიური დონისათვის. საჭიროა, მაგისტრანტებმა დეტალურად შეისწავლონ კვლევის ეტაპების დაგეგმვა, აქტუალურობის განსაზღვრა, კვლევის დიზაინის ჩამოყალიბება, წყაროთა მოძიება-ანალიზი, შედეგების შეჯამება, მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება, დასკვნებისა და მიგნებების ფორმულირება, პრეზენტაცია და სხვ. ყოველივე ეს ეხმარება მათ სრულყოფილი და ხარისხიანი აკადემიური კვლევის ჩატარებისათვის საჭირო უნარების გამომუშავებაში და ამზადებს მომავალ მკვლევარს სადოქტორო საფეხურისთვის, რაც არის სამაგისტრო საფეხურის კიდევ ერთ-ერთი მთავარი მიზანი;

4. რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას ყურძნისა და ტკბილის ხარისხის კონტროლის სტანდარტული ანალიზების შესწავლა შესაბამის სასწავლო კურსში „ღვინის ქიმია“ ან „ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები“;

5. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ობიექტური შეფასებისათვის სამაგისტრო დაცვების კომისიის თავმჯდომარედ მოწვეულ იქნას დარგის სპეციალისტი, რომელიც დაცვის მომენტისათვის არ არის უსდ-ს აკადემიური პერსონალის წევრი და ასევე რეცენზენტად შერჩეულ იქნას პირი, რომელიც რეცენზირების დროს არ არის უსდ-ს აკადემიურ თანამდებობაზე;

6. რეკომენდებულია, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უზრუნველყონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და გაზიარების პროცესში აქტიური თანამონაწილეობა;

7. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად, უზრუნველყოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების ეფექტიანი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში;

8. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა, პირველ ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, მოახდინოს პერიოდული მონიტორინგი დაცული სამაგისტრო ნაშრომებისა, ხოლო მათი შესწავლისა და გაანალიზების მიზნით, შემდგომ ეტაპზე, უზრუნველყონ უნივერსიტეტის გარე დარგის წარმომადგენლის/ექსპერტის ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომების დაცვის პროცედურებში;

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ სურდა ესაუბრა მეხუთე რეკომენდაციის შესახებ, რადგან სცდება ფაკულტეტის საზღვრებს, დაწესებულება ხშირად იყენებს რეცენზენტებს და დამატებით ანაზღაურებასაც კი გასცემენ, რათა საინტერესო გახდეს სტუდენტების ნაშრომების რეცენზირება სამაგისტრო/სადოქტორო დონეზე, რასაც ითვალისწინებს მათი დებულებაც. რაც შეეხება დაცვის კომისიის თავმჯდომარედ პირის მოწვევას, ამას არეგულირებს უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ და მეცხრე მუხლში არის გაწერილი აღნიშნული საკითხი, სადაც საუბარია, რომ თავმჯდომარე უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდეობის მქონე პირი, ეს არის საუნივერსიტეტო რეგულაცია და არ ეხება მხოლოდ აღნიშნულ პროგრამას, რაც მუშაობს საკმაოდ ნორმალურად, ობიექტური შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ რეცენზენზირებაზე და ამ კუთხით რეკომენდაციის ფარგლებში გაწერა, შესაძელბელია ექსპერტთა სურვილი იყოს, მაგრამ არ არის მიზანშეწონილი და პრობლემური საკითხია, შესაძლებელია უფრო მოქნილი კანონმდებლობის პირობებში შესაძლებელი იყოს, მაგრამ ამ ეტაპზე მუშაობს აღნიშნული სქემა, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ და პირველი შემთხვევაა, როდესაც აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია.

ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი ქვარცხავამ, განაცხადა, რომ პროგრამა მეშვიდე წელია მუშაობს ფაკულტეტზე, ერთდროულად ახორციელებენ ორ სამაგისტრო პროგრამას

მევენახეობა-მეღვნეობაში, ერთი არის ინგლისურენოვანი პროგრამა, მეორე კი ქართულენოვანი. ინგლისურენოვანი პროგრამა მიმდინარე წელს გახდა ევროპული სამაგისტრო მევენახეობა და მეღვინეობის წევრი და ამ წლის სტუდენტები ავტომატურად ითვლებიან ამ დიდი კონსორციუმის წევრებად, შედეგობრივად გადიან ორ დიპლომზე. მისი განმარტებით ინგლისურენოვან პროგრამასთან მიმართებით გაკეთებულიჰქონდათ გარე შეფასებები, რისი გათვალისწინების შედეგადაც გავიდნენ შედეგზე, ამის შემდეგ დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა ქართული ვერსია მოერგო იმ ინგლისურენოვანი ვერსიისთვის, რომელსაც დადებითი შეფასებები ჰქონდა. დაწესებულებას წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული არცერთი რეკომენდაცია არ დარჩენილა შეუსრულებელი. ყველა რეკოემნდაცია, რომელიც გაცემულია მიმდინარე აკრედიტაციის ფარგლებში არსებული ჯგუფის მიერ არის ახალი რეკომენდაციები, წინა აკრედიტაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები კი დაწესებულების მიერ შესრულებულია. პროგრამა მუშაობს გამართულად, დაწესებულება ყოველწლიურად აცხადებს 15 ადგილს სტუდენტებისთვის, თუმცა კონკურსი ძალიან მაღალია, დაახლოებით არის 35-40 განაცხადი, ასევე ძალიან დიდია რანჟირებული ქულა, რომლითაც სტუდენტები ირიცხებიან პროგრამაზე. პროგრამას გააჩნია დაშვების წინაპირობა, რომელშიც მოიაზრება, როგორც მევენახეობა-მეღვიენობის საბაკალავრო პროგრამა, ასევე სასოფლო, ქიმია, ბიოლოგია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და შეუძლებელია მასზე მოხვედრა სხვა პროგრამებიდან, რაც შეეხება რეკომენდაციების ნაწილს, მეოთხე რეკომენდაციაში, უშუალოდ მის სილაბუსებზეა საუბარი.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ლომიძემ, განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია. მიმდინარე პროგრამასთან მიმართებით, ორ უცხოენოვან სასწავლო კურსთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ აბსოლუტურად დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, მისი განმარტებით პროგრამაზე დაშვების წინაპირობა B2 დონეა და აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტები სწავლობენ, როგორც ინგლისურს, ასევე გერმანულსა და ფრანგულს. განსაკუთრებით მაღალია სტუდენტების დაინტერესება საფრანგეთში გაცვლითი პროგრამების შესახებ, აქედან გამომდინარე სტუდენტებს შორის ჩატარდა გამოკითხვა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გაკეთებულიყო ეს სასწავლო კურსები და გაწერილიყო პროგრამაში. გარდა ამისა არც ექსპერტთა ჯგუფს არ გაუხდია საკამათოდ ის საკითხი, რომ სტუდენტები გადიან შედეგზე, რომელიც მოცემულია 1.2 კომპონენტში, ანუ პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, აღნიშნული მთლიანად დაკმაყოფილებულია და ჩათვლილია, რომ გადიან სწავლის შედეგებზე. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას შეუძლია აღნიშნული რეკომენდაცია მიიღოს რჩევად. აკადემიურ წერასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ ესეც შეიძლება იყოს რჩევის სახით, რადგან სწავლის შედეგები მიღწეულია და ნათელია რომ სტუდენტი გადის სწავლის შედეგებზე. მეხუთე და მერვე რეკომენდაციების შესახებ მან განმარტა, რომ აღნიშნული ორი რეკომენდაცია თითქმის იდენტურია, მერვე რეკომენდაციაში მოთხოვნილია, რომ ხარისხის სამსახურმა პირველ ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, მოახდინოს პერიოდული მონიტორინგი დაცული სამაგისტრო ნაშრომებისა, ხოლო მათი შესწავლისა და გაანალიზების მიზნით, შემდგომ ეტაპზე, უზრუნველყონ უნივერსიტეტის გარე დარგის წარმომადგენლის/ექსპერტის ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომების დაცვის პროცედურებში, მისი განცხადებით, დაწესებულებას აქვს ეს პრაქტიკა და მიესალმებიან რეცენზენტებად გარე პირების ჩართვას, რაზეც უკვე ისაუბრა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, რომ სამაგისტრო დებულების მიხედვით კომისიის თავმჯდომარე უნდა იყო სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, გარდა ამისა ამავე დებულებით რეგულირდება ის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გაწერილი აქვს თავისი კომპეტენციები, აქედან გამომდინარე ისინი მოქმედებენ დებულების ფარგლებში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, მეშვიდე რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა აკადემიური პერსონალის, სტუდენტების

და კურსდამთავრებულების მაქსიმალურ ჩართულობას პროგრამის შემუშავებაში, აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პირველი ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესრულებისას, მაქსიმალური ჩართულობით ცდილობდნენ მოეხდინათ პროგრამის მოდიფიცირება, ჩართულობა მაქსიმალურია, დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს იიმ ნაწილში სადაც საუბარია რომ გაიზარდოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მაგრამ არ ეთანხმებიან იმ ნაწილში სადაც საუბარია, რომ ჩართულობა არ ხორციელდება. თუმცა, როდესაც საუბარია გაზრდაზე დაწესებულების წარმომადგენლები ყოველთვის ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი გააკეთონ, ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია რჩევის ხასიათის უფრო ატარებს, უბრალოდ მწვავედ არ დგას უნივერსიტეტის წინაშე ეს საკითხი, რადგან სრულდება შესაძლებლობების მაქსიმუმი. მეშვიდე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულება ხშირად ატარებს ვორქშოფებს სხვადასხვა ჯგუფებთან, სხვადასხვა თემატიკებით, ერთ-ერთი მათგანი პროგრამის შეფასების მექანიზმებს ეხება, რომლის აკადემიურ საბჭოზე დამკიცება მოხვდა მოგვიანებით. საკმაოდ გაიზარდა პროგრამის ხელმძღვანელის როლი, აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით დოკუმენტის გადაგზავნაც არის შესაძლებელი, სადაც გაჩნდა პროგრამის შეფასების დამატებითი მექანიზმები/პროცედურები, რაც გარკვეულწილად წარმოდგენილი იყო, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს გასაუმჯობესებელ მხარედ ჰქონდათ და რეკომენდაციაში აისახა, თუმცა დაწესებულებამ შემდგომ ეტაპზე დამატებითი დოკუმენტაცია დაამტკიცა სადაც აისახა ყველაფერი, თუმცა მოსაზრება, რომ მექანიზმი არ არსებობს არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან დაწესებულებას სხვა პროგრამებიც ჰქონიათ წარდგენილი და მათ აქვს შეფასების ყოველხრივი მექანიზმი.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ნინო ლომიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ სტუდენტები და პერსონალი ჩართულია კვლევის პროცესში, რომელიც დასტურდება დასკვნაშიც.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ჩხარტიშვილმა მესამე რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ პროგრამის დასახელება არის „მევენახეობა და მეღვინეობა“, მეღვინეობა, რომელიც არ არის კონკრეტულად მიმართული ქვევრის ღვინოზე, თუკი საუბარია ქართულ ტექნოლოგიაზე პარალელურად უნდა განიხილონ იმერული ტექნოლოგიაც, რომელიც მცირე განსხვავებას მოიცავს ტექნოლოგიებში და მეორე საკითხი არის პროგრამის დაშვების წინაპირობა, რომელიც შეიცვალა და მოიაზრებიან საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებსაც წარმოდგენა აქვთ მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით, სასურსათო ტექნოლოგია, რომლის სასწავლო კურსი მოიცავს მევენახეობა-მეღვინეობასა და ა.შ. აქედან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამაზე მოსულ სტუდენტებს, უკვე აქვთ წარმოდგენა და გავლილი აქვთ ის საფუძვლები რომელიც მოიცავს მევენახეობა-მეღვინეობის. რაც შეეხება ქვევრის ღვინოს, რომელიც ექსპერტთა მოსაზრებით აუცილებლად უნდა დაემატოს პროგრამას, კანონმდებლობის მიხედვით გაწერილია ქვევრის ქარვისფერი ღვინო დამზადების ტექნოლოგია, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებს გაწერილი აქვთ თემატიკა სილაბუსებში – ღვინო, რომელიც დადუღებული და დავარგებულია ქვევრში არანაკლებ მისი დაწურვის წლის 31 დეკემბრამდე, სრულ ან ნაწილობრივ ჭაჭაზე (2017 წლის საქართველოს კანონის ვაზისა და ღვინის შესახებ განმარტებით: მუხლი 3, ქვეპუნქტი ჰ28); ქვევრის ღვინო შედის ღვინის კლასიფიკაციის ჩამონათვალში. თუმცა, 2018 წლის 6 ნოემბრის საქართველოს მთავრობის #524 დადგენილების მიხედვით, რომელიც ეხება ტექნიკურ რეგლამენტს - ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალების და ნივთიერებების ჩამონათვალის შესახებ (მუხლი 4 ქვეპუნქტი 9) ქარვისფერი ღვინო მზადდება მხოლოდ თეთრყურძნიანი ჯიშების გადამუშავებით მიღებული დურდოს სრულ ან ნაწილობრივ ჭაჭაზე დადუღებით. აქედან გამომდინარე ეს გახლავთ თეთრი ღვინოების ზოგადი ტექნოლოგია, რომელიც განხილულია ამავე სილაბუსის მეორე და მეოთხე სალექციო თემებში, ხოლო უფრო ღრმად შესასწავლად არის არჩევითი სასწავლო საგანი, სადაც სასწავლო კურსი ქვევრის ღვინის ტექნოლოგია მოიცავს ყველა დეტალურ საკითხს. სტუდენტს, რომელსაც უნდა გახდეს

მაგისტრი მევენახის მიმართულებით, სწორედ მესამე სემესტრში არსებული სასწავლო კურსები აძლევს საშუალებას გააკეთოს დასკვნა მევენახეობის მიმართულებით, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს სურს მეღვინეობის მიმართულებას ჩაშლილად სწავლა, არის მოცემული საკითხები, მათ შორის „ქვევრის ღვინის ტექნოლოგია“, რომელიც მთლიანობაში პასუხობს და არის ბოლო ეტაპი ამ მიმართულების, რომელშიც არის, როგორც პრაქტიკული ნაწილი, ასევე სემინარები, მთლიანად განვითარებულია სასაწავლო კურსი ისე, რომ პასუხობს სტანდარტებს. ბიოდინამიური და ორგანული მეღვინეობის შესახებ მან განაცხადა, რომ არ არსებობს ამასთან დაკავშირებული სტანდარტი, ევროვროკავშირის ქვეყნებიდან მოტანილი სტანდარტი, ამ ეტაპზე არ არსებობს, რომელიც მორგებული იქნება ქართულ რეალობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოები, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ სექტორში და აქვთ უფლება მიიღონ ბიოდინამიური სერტიფიკატი, ევროკავშირსა და აშშ-ში არსებობს სხვადასხვა მიმართულების რეკომენდაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სერტიფიკატს და სწორედ ეს არის ერთმანეთისგან განსხვავებული. ძირითადი მოთხოვნა, რომელიც ჩადებულია სასწვლო სემესტრში, არის ნიადაგი, ანუ გარემო, სადაც ხდება ვაზის განვითარება/დარგვა, პირველი საფეხური, რომელიც ბიოდინამიურ და ორგანულ მეღვინეობას ეხება, ასევე არის სასწავლო კურსი „ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა“, რომელიც მეთოთხემეტე-მეთხუთმეტე სალექციო კურსსა და პრაქტიკულ მეცადინეობებში განიხილება, მათ შორის ბიოდინამიურ მევენახეობა. სტუდენტები ასევე სწავლობენ ვაზის მავნებელ დაავადებებს და მათგან დაცვის ინტეგრირებულ საკითხებს. ინტეგრირებული დაცვის მეთოდების სწორი გამოყენება კი უზრუნველყოფს ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის მიღებას. რაც შეეხება საათების რაოდენობას, ვთვლით რომ საკონტაქტო საათები სრულად საკმარისია ამ საკითხების შესასწავლად, რაც დასტურდება პრაქტიკითაც.

ფაკულტეტის დეკანის განცხადებით მეოთხე რეკომენდაციის შესახებ დაწესებულების პასუხი მათივე ინგლისურენოვანი პროგრამის მსგავსად (რომელსაც საერთაშორისო აკრედიტაცია აქვს) არის იგივე, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს მიხედვით: ინტერდისციპლინური - “მევენახეობა და მეღვინეობა”; „ბიოლოგია“; „გარემოსმცოდნეობა“; „სურსათის გადამუშავება“; „მემცენარეობა და მეცხოველობა“; „მებაღეობა“). აღნიშნული სფეროების ბაკალავრს გააჩნია ხარისხის კონტროლის სტანდარტული ანალიზების პრინციპების ცოდნა. გარდა ამისა ხარისხის კონტროლის სტანდარტული ანალიზების შესწავლა ხორციელდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „მევენახეობა და ენოლოგია“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეუწონლად მიგვაჩნია საკითხის განმეორებითი შესწავლა უკვე მაგისტრატურის საფეხურზე. მისი მოსაზრებით, წარმოდგენილი სილაბუსები სრულიად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს და გადის სწავლსი შედეგზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ოლანი გოცირიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ დაეთანხმა დაწესებუელბის მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, რადგან, მაგ., დაწესებულების ერთ-ერთი არგუმენტის თანახმად ქვევრის ღვინო არის თეთრი ღვინო, რაც ეფუძნება რეგულაციას, ტექნიკურ რეგლამენტს, როდესაც საქართველოში კანონი არეგულირებს ამ დარგს, წერია, რომ დამზადების მიხედვით ღვინო არსებობს, სხვადასხვა კატეგორიის და მათ შორის ქვევრის ღვინო, გარდა ამისა, აღნიშნული რეგლამენტი, რომელიც მიღებულია 2018 წელს, მასში ცვლილება არ განხორციელებულა და მას მერე ბევრი ცვლილება მოხდა საზოგადოდ, კერძოდ, ქვევრის ღვინო ითვლება არა თეთრ, არამედ ქარვისფერ ღვინოდ, გარდა ამისა მოხდა მისი აღიარება მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელმაც სპეციალურ კატეგორიაში შეიყვანა, როგორც ქარვისფერი ღვინო. ამასთანავე, ქართული ტრადიციული ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო არის ეროვნული საგანძური. იგი დაინტერესდა თუ როგორ წარმოუდგნეია დაწესებულებას, რომ მაგისტრატურის დასრულების შემდეგ წავიდეს მევენახე-მეღვინე, შევიდეს მარანში და მას არ ჰქონდეს გავლილი ქვევრის ღვინის ტექნოლოგია, ან რამ შეუშალა დაწესებულებას ხელი, რომ

აღნიშნულ სილაბუსში არ ჩაეწერა ქვევრის ღვინის სპეციფიური ტექნოლოგიები, იმდენას რამდენადაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები აქვს ქვევრის ღვინოს, რამდენიმე მათგანი მაიც უნდა შესულიყო. ექსპერტთა ჯგუფი არაფერს იტყოდა თუ სასწავლო კურსი „ქვევრის ღვინის ტექნოლოგია“ იქნებოდა ძირითადი სასწავლო კურსების მოდულში, თუმცა არის არჩევით კომპონენტში და მისი არჩევის შესაძლებლობა ძალიან მცირეა, შესაძლებელია სტუდენტმა დაამთავროს აღნიშნული პროგრამა ისე, რომ არ აირჩიოს სასწავლო კურსი „ქვევრის ღვინის ტექნოლოგია“ და მეღვინეობა ისწავლოს ისე, რომ არცერთი თემა ქვევრის ღვინის ტექნოლოგიის შესახებ ნასწავლი არ ჰქონდეს, ასევე ბიოდინამიურ და ორგანულ მეღვენობაზე, მთელი მსოფლიო გადადის ბიოდინამიური და ორგანული ღვინის წარმოებაზე, მისთვის წარმოუდგენელია თუ როგორ შეიძლება არ იცოდეს სტუდენტმა მათი კლასიფიცირება, რა მსგავსება, რა განსხვავებაა, თუნდაც სერტიფიცირება, რომ დასჭირდეს სად და ვის მიმართოს. გარდა ამისა, თუ სტუდენტი მევენახეობას ამთავრებს სხვა საგნებს ირჩევს, თუ მეღვინეობას - სხვას, რაც საფუძველშივე მცდარი მოსაზრებაა, რადგან ძალიან ბევრი იშრომეს თავის დროზე იმისთვის, რომ ჩამოყალიბებულიყო სპეციალობა მევენახეობა-მეღვინეობა სპეციალისტების დიდი ბრძოლის შედეგია, აქამდე გადიოდა აგრონომიული მიმართულებით არ იყო ასეთი დარგი, ხშირად ამბობენ და პროგრამაშიც წერია, რომ ღვინო იწყება მიწიდან, ვენახში იბადება და მთავრდება სუფრაზე, არ არსებობს მეღვინე, რომელმაც არ იცის მევენახეობა გარკვეული თვალსაზრისით და პირიქით, მევენახის მთელი შრომა გამოყენებულია მეღვინესთან და სტუდენტებს ერთნაირად უნდა ჰქონდეთ მიწოდებული, როგორც მევენახეობა, ასევე მეღვინეობა, ამ ორი სპეციალობის გამიჯვნა ფაქტობრივად შეუძლებელია. „ღვინისა და ტკბილის ანალიზის“ შესახებ, მან განმარტა, რომ დაწესებულებას ძალიან კარგი თემები აქვს ტკბილის ანალიზში, რომელიც საჭიროა გაღრმავებული კვლევებისათვის, მაგრამ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის არა მარტო მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულება, არამედ აგრარული მიმართულებაც, მაგრამ ამასთანავე დაწესებულება ამბობს, რომ სტუდენტებს საბაკალავრო პროგრამაზე აქვთ ნასწავლი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რომელ საბაკალავრო პროგრამაზეა ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები, შესაძლებელია ნასწავლი აქვთ ზოგადი პრინციპები, მაგრამ კონკრეტული პროგრამის სტუდენტები მაგისტრები, რომ ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომებს და თავის ექსპერიმენტულ ღვინეობს ამზადებენ, მათ ყოველთვის სჭირდება ხარისხის კონტროლი, უნდა წავიდეს თუ არა სტუდენტი სხვა ლაბორატორიაში, თუ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს აწყობილი ლაბორატორია, სადაც პარალელურ რეჟიმში შეძლებს მონიტორინგსა და კონტროლს თავისი ღვინოების, როგორ შეიძლება სტუდენტი წავიდეს წარმოებაში, შევიდეს ლაბორატორიაში და არ იცოდეს სხვადასხვა კვლევების ჩატარება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ ქართველები ღვინოში ძალიან კარგები არიან და ძალიან ძლიერი სპეციალისტები არსებობენ ორივე მხარეს, ერთი მხრივ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტმა ეს მიმართულება ასწია ძალიან მაღალ დონეზე ქართულ სივრცეში, მათ შორის საერთაშორისო აღიარების კუთხით და ასევე, ძალიან ძლიერი სპეციალისტია ექსპერტთა ჯგუფში, დარგში ყოველთვის არსებობს მომენტი, როდესაც ვერ თანხმდებიან სპეციალისტები, არის ჩვეულებრივი ამბავი, საკმაოდ კარგი სპეციალისტები არიან დ არ ჩამოუვარდებიან ფრანგებს, მინიმუმ, ღვინოში და ვენახში. დაწესებულებამ მაქსიმალურად ისე წაიყვანეს პროცესი და ცოტა ისაუბრეს თუ რა ასოციაციის წევრები არიან, ვის მიერ აღიარებულია პროგრამა და ვის მიერ ხდება მეორე დიპლომის გაცემა, ამიტომ დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს მისი სტანდარტი თავსებადი იყოს იმ სტანდარტთან, არის რაღაცები, რასაც ადასტურებს შედეგი, რომელიც არის ის, რომ პროგრამა ძალიან მოთხოვნადია, ძალიან წარმატებულია, ყოველწლიური შედეგები აქვს, საფრანგეთის ელჩი საქართველოში 12 ხელმძღვანელი პირი, ვორქშოფები, სემინარები და ა.შ. ადგილზე ტარდებოდა, ამიტომ დაწესებულება ეცდება რომ კითხვებზე ამომწურავი პასუხები გასცეს, რადგან ეს არის ძალიან ძლიერი სპეციალისტების განსხვავებული ხედვის საკითხი, სწორედ ამიტომ არის სსიპ -

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რომ თავის ხედვას ავითარებს, რომელიც აკრედიტებულია ამ სფეროში.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ სასიამოვნოა ჩამონათვალში ნ.ჩ.-ს არსებობა, რომელიც 30 წელია მებაღეობა, მევენახეობა, მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპეციალისტია. მისი მოსაზრებით მაგისტრატურის საფეხურზე, პრაქტიკულად კურსდამთავრებული მაღალ თანამდეობაზე უნდა წავიდეს ხელმძღვანელად, , სოფლის მეურნეობის სამინისტრო თუ სხვა, თუმცა დაწესებულება არ ასწავლის არც ერთ ეკონომიკურ დისციპლინას, ამასთანავე პროგრამის მიზნებში არის საუბარი ამ საკითხზე, ზემოაღნიშნული ლექტორის სილაბუსში ბოლო თემა არის „ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების გზები“, რაც ძალიან კარგია, მაგრამ სტუდენტმა ხომ უნდა იცოდეს რა არის ეკონომიური ეფექტიანობა, რომელი მხრიდან უნდა მიუდგეს. მისი თქმით შესაძლებელია ვერ მოხდა პროგრამაში გაწერა, რადგან ამ ქვეყანაში აგრალური ეკონომიკის, თუნდაც მეღვინეობის ეკონომიკის სპეციალისტების სიმცირე არ არის და შესაძლებელია შეთავაზებულიყო არჩევით კურსად. მან ასევე გადახედა სამაგისტრო ნაშრომებს და დასკვნის ნაწილის შესახებ განაცხადა, რომ დარჩა შთაბეჭდილება, თითქოს სტუდენტმა ახლახანს გაარკვია თუ როგორ უნდა დაწეროს სამაგისტრო ნაშრომი, ანუ ცქრიალა ღვინოებზე დასკვნაში ეწერა: „ჩვენს მიერ შემოთავაზებულმა ორმა ვარიანტმა დაადასტურა ეფექტიანობა“, ეს უნდა დაიწეროს დასკვნაში და არა რომელია ცქრიალა ღვინო, რომელია ფრანგული და რომელი ევროპული, ეს საერთაშორისოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, ასევე ჩამონათვალში არის სახელმძღვანელოები, როგორც წესი ითვლება, რომ სამაგისტრო ნაშრომში სახელმძღვანელო არ ეთითება, ამის გათვალისწინებით დაინტერესდა დაწესებულების პოზიციით აღნიშნული საკითხების შესახებ.

საბჭოს წევრი, თამარ ჩხეიძე, დაინტერესდა თუ რა არის 2.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის, აკადემიური წერის სავალდებულო კომპონენტად დამატების საფუძველი გახდა თუ არა სამაგისტრო ნაშრომები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ საფუძველი იყო სამაგისტრო ნაშრომები.

საბჭოს წევრმა იმავე კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომელთა პასუხშიც ჩანს, რომ არ იზიარებენ აღნიშნულ პოზიციას, რადგან სწავლის შედეგები სრულად არის დაკმაყოფილებული, ანუ რეკომენდაციის არ გაზიარების საფუძვლად მოყვანილი აქვს 1.2 კომპონენტში მოყვანილი შეფასება, რომ ის სრულად შეესაბამება მოთხოვნებს და სწავლის შედეგების მიღწევა ხდება. დაწესებულების მისამართითი დასვა კითხვა, ხომ არ ხდება კვლევითი უნარების გამომუშავება სხვა სასწავლო კურსებში, ხომ არ არის გადანაწილებული სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებში. დაინტერესდა თუ რატომ არ ეთანხმება დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მეხუთე და მერვე რეკომენდაციის შესახებ, დაინტერესდა თუ რამდენი სამაგისტრო ნაშრომის ნახვის შესაძლებლობა ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფს და რა იყო აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველი, შეფასება იყო მაღალი და ხარისხი შინაარსობრივად მეტნაკლებად დაბალი თუ რატომ გაჩნდა რეკომენდაციები. მან გარე პირის თავმჯდომარეობის შესახებ განაცხადა, რომ ეს არ იმოქმედებს, რადგან ნაშრომების წერის პროცესი მიმდინარეობს მანამდე, მითუმეტეს დაწესებულება დებულებით სარგებლობს და აკადემიური პერსონალია თავმჯდომარე, შესაძლებელია ერთ-ერთი რეცენზენტი იყოს გარე პირი, რაც ძალიან კარგი პრაქტიკაა და ასევე ძალიან კარგია, როდესაც ხარისხის სამსახური ჩართულია მაღალი დონით მონიტორინგში. საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს აღეწერათ ბენჩმარკინგის პროცედურა ფრანგული პროგრამების განხილვის საშუალება თუ ჰქონდათ და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა თუ გაიზიარეს, რომ არ ყოფილიყო ამდენი კითხვა დარგობრივი საგნების ჩართულობასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ ახსენა სტანდარტიზაცია საერთაშორისო მიმართულებით, მან პროგრამის წარმომადგენლებს სთხოვა დაესახელებინათ ის მოთხოვნები, რაც გარკვეულ დონეზე უნიფიცირებულად არის ამ მიმართულების სხვადასხვა საგნმანათლებლო პროგრამაში, რასაც დაწესებულება ეყრდნობა, მოეყვანათ მაგალითები. დაწესებულების თვთშეფასების დოკუმენტში ჩანს, რომ იზრდება მაგისტრანტების მიღება, დასაქმება არის 95%, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ სად გადიან პრაქტიკებს, რომელ ობიექტებთან თანამშრომლობენ პრაქტიკის კუთხით და რა მიმართულებით არიან დასაქმებულნი. დაწესებულების წარმომადგენლებმა ახსენეს სხვადასხვა ტიპის ჩართულობა, უცხოელების ჩამოსვლა უნივერსიტეტში და სხვა, სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს თუ გამოიკვეთა გაცვლითი პროგრამები, იგივე სამაგისტრო პროგრამის, ნაშრომის მომზადების პროცესში ხომ არ აქვთ შესაძლებლობა ჰყავდეთ უცხოელი ხელმძღვანელი ან ინტერნაციონალიზაციის სხვა საკითხები. ასევე დაინტერესდა თუ როგორ შეძლებს სტუდენტი ფრანგულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე ჯერ სწავლას და შემდეგ დარგობრივი ტექსტების თარგმანს, თუ რომელიმე სხვა ენა აირჩია, როდესაც მიღების წინაპირობა B2 დონეა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ოლანი გოცირიძემ, განაცხადა, რომ რეკომენდაციები, რომლებიც ეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და მონიტორინგის წესებს გაჩნდა სწორედ იმ ანალიზის საფუძველზე, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა სამაგისტრო ნაშრომების შესწავლისას და შემდეგ დამატებით გამოითხოვილი დოკუმენტების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი არ ჩარეულა ნაშრომების შერჩევის პროცესში, გამოთხოვილი ნაშრომები შერჩეული კი იყო შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. საერთო ჯამში დაახლოებით 10 სამაგისტრო ნაშრომი განიხილეს, ჯამში კი დაახლოებით 20 ნაშრომია დაცული, ამ ნაშრომებს შორის შეხვდათ ძალიან კარგი ნაშრომებიც და ისეთებიც, რომ მათი მოსაზრებით არ იმსახურებდა ისეთ შეფასებებს, რაც რეალურად ჰქონდათ მინიჭებული. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით მაღალი შეფასებები დაწერილი იყო, რადგან ხელმძღვანელიც, რეცენზენტიც იყო ერთი ინსტიტუციიდან, თუკი იქნებოდა სხვადასხვა ამუშავდებოდა მეტი კონტროლის მექანიზმი და ქულებიც იქნებოდა უფრო ადეკვატური.

ექსპერტმა, ქრისტინე ჩიხლაძემ, სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა იფიქრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობაზე თუნდაც უკვე ჩართული ნაშრომების კიდევ ერთხელ გადახედვა/შეფასებაში, რადგან პროგრამის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია სამაგისტრო ნაშრომია, შესაძლებელია შინაარსში ვერ შევიდეს, მაგრამ ნაშრომის ფორმატი იყო განსხვავებული, ციტირება და მითითების ფრმატიც იყო განსხვავებული, რა შინაარსს მოიცავს და ა.შ. რაოდენობის თვალსაზრისითაც, არ უნდა იყოს ვიკიპედიიდან აღებული ტექსტები და ინფორმაცია, სწორედ ამ კუთხით უნდა გააკეთოს მონიტორინგი ხარისხის სამსახურმა და პროგრამის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად შეიყვანოს, თუმცა კარგი იქნება სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ასაწევადაც, რათა ნამდვილად სამეცნიერო ნაშრომები იქნას დაცული.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით მახვილაძემ, განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებასთან მიმართებით არსებული პრობლემები, იყო შემთხვევები, როდესაც შინაარსში განხილულია, მაგრამ არ არის გამოტანილი ბოლოს, ეს პრობლემები არაერთხელ და არაერთ პროგრამაზე დაფიქსიერებულა, დაწესებულებას არ აქვს წარსულზე ზემოქმედების შესაძლებლობა, მაგრამ ძალიან აქტიურად დაიწყო დაწესებულებამ მუშაობა, ჩაატარა აკადემიური კონკურსი ზაფხულში, კონკრეტული ვალდებულებების ჩადებით, საკონტაქტო საათების, ასევე პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ვალდებულებების გაწერით და ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით ამ პროცესებში, ეს ყვეალფერი პოლარიზებულია და საბჭომდე მივა შემდგომი სამაგისტრო ნაშრომების დაცვისას, თუმცა გასულ წელს არ ჩაუვლია ფუჭად და რადიკალური განსხვავებაა გაფორმების კუთხით, წყაროების მითითებაზე და ა.შ. ეს პრობლემა იყო და დაწესებულება ამას ვერ უარყოფს. უცხო

ენასთან მიმართებაში მან განაცხადა, რომ სტუდენტი თავისუფალი არჩევანის პირობებში არ აირჩევს ინგლისურ ენას, როდესაც საუბარია სასწავლო კურსის დაძლევასა და დარგობრივ თარგმანზე, აირჩევს ენას, რომელიც ამის შესაძლებლობას აძლევს, მაგრამ ინგლისური სავალდებულოა, თუმცა ამ კურსთან მიმართებაში, შესაძლებელია არჩევანი ფრანგულზე გაკეთდეს, მას თავიდანვე უნდოდა აღენიშნა, რომ დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას, გაიზიარეს, როგორც რჩევა და ეს ნაწილი პროგრამის შემდგომი განვითარების ჭრილში საბჭოს გადაწყვეტილებიდან მეორე დღესვე მოდიფიცირდება იმ დარგობრივი სასწავლო კურსებით, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა მიანიშნა, თუმცა შესაძლებელია დაწესებულების სპეციალისტებმა კიდევ უფრო გაუმჯობესებული ვერსია შესთავაზონ.
ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი ქვარცხავამ, განაცხადა, რომ პროგრამა დაახლოებით 5 წელია თანამშრომლობს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან, ეს არის კონსორციუმის 8 ნამდვილი წევრი და 9 ასოცირებული წევრი, ისევე, როგორც სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არის ასოცირებული წევრი, კონსორციუმში გაერთიანებულნი არიან იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, პორტუგალიის უნივერსიტეტები, ასევე ასოცირებული წევრები არიან ამერიკის, ჩინეთის, შვეიცარიის უნივერსიტეტები მევენახეობა მეღვინეობის მიმართულებით, ეს არის ევროპული სამაგისტრო პროგრამა მევენახეობა-მეღვინეობაში, რომლის ცენტრი არის მონტელიე სუპაგრო, რომელიც აგრარულ მიმართულებაში ითვლება ერთ-ერთ წამყვანად, თუნდაც იმიტომ, რომ ინრას ბაზაზე მოქმედებს, ეს არის ფრანგული ეროვნული უნივერსიტეტი აგრარული მიმართულებით, რომელიც პუბლიკაციების მიხედვით მეორეა მსოფლიოში ამერიკელების შემდეგ, რეალურად მსგავსი კომპეტენციის უნივერსიტეტი არ არსებობს. როდესაც დაწესებულება ხდებოდა აღნიშნული კონსორციუმის წევრი, ეს არ იყო მარტივი, 5 წელი დახარჯეს ამისთვის, გააგზავნეს პროგრამები, რათა მეორე მხარეს გამოეგზავნა SWOT ანალიზი, შემდეგ იგი ასახეს პროგრამაში, შემდეგ იყო Erasmus +-ის გაცვლითი პროგრამები, სტუდენტებს აგზავნიდნენ არა მხოლოდ საფრანგეთში, არამედ ყველა უნივერსიტეტში, მხოლოდ ამის შემდეგ ამოქმედდა ეს ყველაფერი, დაახლოებით ერთი თვე გავიდა რაც ხელი მოეწერა ამ ხელშეკრულებას და სექტემბერში ფრანგულმა მხარემ, ოქტომბერში კი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტმა მოაწერა ხელი და ამის შემდეგ გახდა კონსორციუმის წევრი, რეალურად აქედან იწყება საქართველოს თანამედროვე ისტორია მევენახეობა-მეღვინეობის საგანმანათლებლო პროგრამებში ამ მასშტაბით. ქართული პროგრამა გააკეთეს ძალიან მიახლოებული ინგლისურ ანალოგთან, მათ შორის სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ ქართულ პროგრამაზე მათაც აქვთ საშუალება Erasmus +-ით წავიდნენ პარტნიორ უნივერსიტეტებში და გაიარონ ერთი სემესტრი ან ერთი წელი. სტუდენტები ინგლისურენოვანი პროგრამით 2 დიპლომს აიღებენ. Erasmus-ის ფარგლებში მოგებული აქვთ 48 ადგილი, კონსორციუმისგან დამოუკიდებლად საუბარი მიდის კიდევ ერთ უნვიერსიტეტთან ორდიპლომიან სწავლებაზე. რაც შეეხება ქართულ პროგრამას, ამ ეტაპზე ამ პროგრამის სტუდენტი იმყოფება საფრანგეთში Erasmus +-ის გაცვლითი პროგრამით, ორივე პროგრამისთვის არის ხელმისაწვდომი. ასევე აღნიშნა, რომ იზრდება მიღება, სინამდვილეში იზრება მოთხოვნა, კვოტა არის 15 სტუდენტი ყოველწლიურად. ბოლო წლებში არ შეუცვლიათ და არც უახლოეს მომავალში აპირებენ კვოტის შეცვლას სწორედ ხარისხიდან გამომდინარე, პირველ რიგში ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, რომ შრომა იყოს შესაბამისი, სამაგისტრო ნაშრომები დეტალურად იქნას შესწავლილი, კოსორციუმის წევრობისთვის. შრომის ბაზარზე დაკმაყოფილება ძალიან მაღალია, ბოლო პერიოდში 90%, სტუდენტების დიდი ნაწილი, მოდის გამიზნულად, უკვე იცის რა უნდა, ზოგიერთ მათგანს თავისი საწარმო აქვს, ან რამდენიმე ადამიანთან ერთად წილობრივი საწარმო აქვს და იქ მუშაობენ, ასე რომ ამის პრობლემა ყველაზე ნაკლებადაა. რაც შეეხება ინგლისურის ცოდნას, ამ პროგრამით დაწესებულება არის ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის ერთ-ერთი წევრი, ამ პროგრამის ერთ-ერთი წინაპირობა არის ის, რომ სტუდენტს მიეცემა უპირატესობა თუ ინგლისურთან ერთად იცის ფრანგული ენაც, დაწესებულება თვითონ სთავაზობს ფრანგული ენის კურსს და ეს აუცილებელი ატრიბუტი ხდება საფრანგეთში წასასვლელად, სტუდენტმა აუცილებლად უნდა

გაიაროს ეს კურსი, რომელიც არ არის ასახული კრედიტებში, თუ ერთნაირ ქულებს მიიღებენ სტუდენტები, უპირატესობა ექნება იმას, ვინც ფრანგული იცის. ხარისხობრივი სტანდარტის შესახებ მან განაცხადა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ეს უნიფიცირდა, იყო გარკვეული ხარვეზები, თუმცა ეს უკანასკნელი წელია სამაგისტრო პროგრამაზე ჩაერთო პლაგიატის პროგრამა და მისი მოსაზრებით ხარისხი ავტომატურად გამოსწორებას დაიწყებს. მისი თქმით, მქროლავ მჟავიანობას მეორე კურსზე გადიან ბაკალავრიატში და შეუძლებელია აღნიშნულ პროგრამაზე მოსულმა სტუდენტმა ვერ გააკეთოს თავისით, იმ მიზეზით, რომ ლაბორატორიაში რამე არ არის, დაწესებულება ყოველწლიურად 120 000 ლარს ხარჯავს ლაბორატორიის დანადაგარებისა და რეაქტივების შესავსებად, ლაბორატორიას ალკოჰოლური სასმელის მიმართულებით ISO 17025 სტანდარტი აქვს აღებული, ასე, რომ ამის გაკეთება არა მხოლოდ სტუდენტს შეუძლია, არამედ გარე დაინტერესებულ პირსაც.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ლომიძემ, ეკონომიკური მიმართულების საგნების შესახებ განაცხადა, რომ სილაბუსში არის საკითხი ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, ასევე „მცენარეთა ინტეგრირებულ დაცვაში“ არის ეკონომიკური ეფექტურობა, როგორც ასეთი, აუცილებლად განსასაზღვრი პარამეტრია, ინტეგრირებული დაცვა გულისხმობს ეფექტიანობის გაანგარიშებას, რაც შეეხება წმინდა ეკონომიკურ მიმართულებებს, ასევე არჩევით დისციპლინებში არის „აგროდაზღვევის“ სასწავლო კურსი, ამ მიმართულებით ასევე არის „ღვინისა და სასმელების მარკეტინგი“, რომელიც აღნიშნულ მიმართულებებს კურირებს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ დაწესებულებას ამ კუთხით სამუშაო აქვს.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ კვლევის მეთოდიკასა და ექსპერიმენტში აღნიშნული საკითხები განიხილება და აქედან გამომდიანრე ამ სილაბუსშია ეს საკითხები უფრო მეტად გაშლილი. სტუდენტები პრაქტიკას გადიან მემორანდუმის ფარგლებში, ასევე წარდგენილ დოკუმენტაციაში შეიძლება ენახათ, რომ დაწესებულებას ჰქონდა გარე გამოხმაურებები და საერთაშორისო შეფასებებიც პროგრამასთან დაკავშირებით. პრაქტიკის ბაზები საკმაოდ დიდია. პლაგიატთან დაკავშირებით უკვე დაინერგა და მოწმდება, დებულების ფარგლებში განისაზღვრა/შემუშავდა და დაიხვეწა თუ როგორი უნდა იყოს წარმოდგენილი ნაშრომი. გრადა ამისა, ხარისხის სამსახურმა შეიძლება შეაფასოს გვერდების რაოდენობა, გამოყენებული ლიტერატურა, მაგრამ ვერ შევა დისკუსიაში პროგრამის წარმომადგენლებთან.

**16:32 საათზე საბჭოს შემოუერთდა გაიოზ ფარცხალაძე.**

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ჩხარტიშვილმა, განაცხადა, რომ მათ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვთ, რომლის ფარგლებშიც, მათი სტუდენტები სავლე თუ საწარმოო პრაქტიკას გადიან, ეს არის საქართველოში წამყვანი მეღვინეობა-მევენახეობის მიმართულების მქონე საწარმოები და ასევე ვენახის მიმართულების მქონე, როგორიცაა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრი, რომელიც ფლობს ჯიღაურას ბაზას, რომელიც დღეს უკვე არის 470-მდე ქართული, აღდგენილი აბორიგენული ჯიშებისა და ინტროდიცირებული, ჩამოტანილი ჯიშების კოლექცია, სადაც სტუდენტები თავისუფლად მუშაობენ საველე პრაქტიკის ფარგლებში. გარდა ამისა, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში, წამყვანი საწარმოებთან არსებული ყველა მემორანდუმი წარმოდგენილია პროგრამის განვითარების გეგმაში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისთვის კარგად არის ცნობილი გ.ს., რომლის განმარტებითაც, მათ არ სურდათ ისეთი სტუდენტები, რომლებიც არ იქნებოდნენ აქტიურად ჩართული, როდესაც საწარმოო პრაქტიკა დასრულდა პირადად დაურეკა და მადლობა გადაუხადა სტუდენტების აქტიური ჩართულობისთვის. უნივერსიტეტი Erasmus +-ის ფარგლებში ჩართულია პროექტში, რომელიც მოიცავს სამ კონტინენტს: სამხრეთ ამერიკა, სამხრეთ აფრიკა, ევრაზია, საქართველოს მხრიდან

წარმოდგენილია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და თელავის უნივერსიტეტი, პროექტის მიზანია მევენახეობა მერვინეობის საერთო მოდულების შემუშავება და სწორედ ამ პროექტის ფარგლებში მიეცათ საშუალება 8 000 ევროს ფარგლებში შეეძინათ ის მიკროვინიფიკაციის გადამამუშავებელი ხაზი, რომლის აწყობაც ცოტახანში დაიწყება, რადგან პანდემიამ ყველაფერი შეაფერხა, შესაბამისად დაწესებულებასაც შეუქმნა გარკვეული პრობლემები, 2022 წლისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცა ამ მშენებლობისთვის 2 000 000 ლარი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ოლანი გოცირიძემ, განაცხადა, რომ სხდომის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე თუმცა ცხადია აუცილებლად ნახავდნენ, რომ სხვა კომპონენტებში უნივერსიტეტის პროგრამა შეფასებულია დადებითად, არის ძალიან დიდი შრომა გაწეული.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:40**
**დასრულების დრო: 17:23**

**16:45 საათზე საბჭოს შემოუერთდა ანა ფირცხალაშვილი.**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ 2.2 და 2.6 კომპონენტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება; 3.2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მესამე სტანდარტის შეფასების ცვლილება;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობა და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**
**რეკომენდაციები:**
ა) რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ტექნოლოგია“ გაიზარდოს მეღვინეობის ფუნდამენტური საკითხებისათვის განკუთვნილი სალექციო საათების რაოდენობა, დაემატოს ქვევრის ღვინის ტექნოლოგიის და ორგანული/ბიოდინამიური მეღვინეობის აქტუალური საკითხები.
ბ) რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას ყურძნისა და ტკბილის ხარისხის კონტროლის სტანდარტული ანალიზების შესწავლა შესაბამის სასწავლო კურსში „ღვინის ქიმია“ ან „ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები“.
გ) რეკომენდებულია, პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს სასწავლო კურსი, რომლის მიზანი იქნება აკადემიური წერის ჩვევების განვითარება მაგისტრანტებისთვის, მათ მიერ მეცნიერული აზროვნებისა და ადეკვატური ტექსტების შექმნის უნარის გამომუშავება, დაფუძნებული იქნება

საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული აკადემიური წერის პრინციპებზე და მოიცავს სამეცნიერო ნაშრომის შექმნის მეთოდებს, ხერხებსა და საშუალებებს.
დ) რეკომენდებულია, გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შინაარსის, კვლევის დიზაინის, სტრუქტურის, გაფორმების, სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების და სხვ. მიმართულებით.
ე) რეკომენდებულია, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა უზრუნველყონ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და გაზიარების პროცესში აქტიური თანამონაწილეობა.
ვ) რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის აკადემიურ პერსონალთან ერთად, უზრუნველყოს სტუდენტების, კურსდამთავრებულების ეფექტიანი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში.
ზ) რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა პერიოდულად განახორციელოს სამაგისტრო ნაშრომების მონიტორინგი და შეიმუშავოს გასაუმჯობესებელი რეკომენდაციები.

**რჩევები:**
ა) სასურველია, პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება ისე, რომ ერთ სწავლის შედეგში არ ერთიანდებოდეს რამდენიმე სწავლის შედეგი. აღნიშნული გაუმარტივებს დაწესებულებას სწავლის შედეგების შეფასების პროცესს.
ბ) სასურველია, პროგრამაში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში შემცირდეს უცხო ენის შემსწავლელი კურსების კრედიტების რაოდენობა. ეს შესაძლებელია ორი გზით: ან ერთ-ერთი სასწავლო კურსი (საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე; დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა) გადავიდეს არჩევით მოდულში, ან მოხდეს ამ ორი სასწავლო კურსის ოპტიმიზაცია ერთ სასწავლო კურსად. გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან გადმოტანილ იქნას პროფესიული განვითარებისათვის უფრო მეტად ღირებული სასწავლო კურსი (ქვევრის ღვინის ტრადიციული ტექნოლოგია; ვაზის სელექცია; მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირება; ღვინის წარმოების ხარისხის მართვა).
გ) პროგრამაში გაიზარდოს სპეციალობის არჩევითი სასწავლო დისციპლინების არჩევის შესაძლებლობა მინიმუმ ორამდე მაინც.
დ) სილაბუსებში ჩასწორდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი. ჰილარიუს პუტცის სახელმღვანელოები „მევენახეობა“ და „მეღვინეობა“ გადატანილ იქნას შესაბამისი სილაბუსების დამატებით ლიტერატურაში.
ე) სასწავლო კურსებში „ამპელოგრაფია“ და „ვენახის ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებული მართვა“ სავალდებულო ან დამატებით ლიტერატურაში მიეთითოთ შესაბამისი მიმართულების თანამედროვე ინგლისურენოვანი წყაროები.
ვ) სასწავლო კურსის „მსოფლიო ღვინო პროდუქცია და ღვინის სენსორული შეფასება“ სახელწოდებიდან ამოღებულ იქნას „მსოფლიო ღვინო პროდუქცია“ და ეწოდოს „ღვინის სენსორული შეფასება“.
ზ) სასწავლო კურსში „ღვინისა და ტკბილის ანალიზის მეთოდები“ სტუდენტთა სწავლის შეფასების მეთოდები შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე შეიცვალოს და გახდეს მთლიანად ლაბორატორილი კურსისათვის უფრო ადეკვატური.
თ) სასურველია, ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული ლაბორატორიული ბაზების ეფექტიანი გამოყენებით საგრანტო-სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის გააქტიურება და სტუდენტების ჩართულობის გაზრდა.
ი) სასურველია სამაგისტრო ნაშრომების ერთ-ერთი რეცენზენტად შერჩეულ იქნას გარე შემფასებელი.

კ) სასურველია, პროგრამის სილაბუსებში კონკრეტულად იყოს გაწერილი საკონსულტაციო საათები, რათა უკეთ იყოს უზრუნველყოფილი პროგრამაში ჩართული პირების მიერ სათანადო ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ფაკულტეტზე არსებული კონსულტაციების შესახებ
ლ) მნიშვნელოვანია უსდ-მ გააძლიეროს კვლევის პროცესში სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილი არიან ისინი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან მუშაობით.
მ) სასურველია, ფაკულტეტის/პროგრამის ბიუჯეტებში განსაზღვრული იყოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები, აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მკვლევარების სამეცნიერო და კარიერული აქტივობის დაფინანსების/წახალისებისათვის განკუთვნილი ხარჯები.
ნ) პროგრამის მდგრადობისა და სტაბილური განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საკუთარი საწარმოო ბაზის არსებობა. საჭიროა ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარება.

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მევენახეობა და მეღვინეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნინო იმნაძემ.**

**ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა მეორე საკითხის (შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა) მეოთხე საკითხად გადატანის შესახებ, რადგან გაუთვალისწინებელი ვიტარების გამო ექსპერტტა ჯგუფი ვერ ახერხებდა ამ ეტაპზე სხდომაზე დასწრებას;**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ცენტრის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა, გადატანილ იქნეს მეოთხე საკითხად;

**2. მეორე საკითხი:** ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საჯარო მმართველობა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მერვე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | საჯარო მმართველობის დოქტორი/Doctor of Public Administration |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | მენეჯმენტი და ადმინისტრირება, 0413 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 60 |
| 14 | განხორციელების ადგილი | იეთიმ გურჯის ქ. №9; თბილისი, 0105, საქართველო;<br>გორგასლის ქ. №101; თბილისი, 0114, საქართველო; |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- დიახ

თვითაცილება განაცხადა თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა შემდეგნაირად: ხუთივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფარსადანიშვილმა, განაცხადა, რომ ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ რეჟიმში. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა მხოლოდ ორი რეკომენდაცია.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**
1. რეკომენდირებულია, რომ სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებში (ცხრილი #2) - დაზუსტდეს სადოქტორო სემინარი I და მითითება გაკეთდეს, რომ ამ კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს მოუწევთ საჯარო ადმინისტრირების კონკრეტული სპეციფიური თემის დამუშავება;
2. რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამის არჩევითი კომპონენტი გაძლიერდეს საჯარო ადმინისტრირების სფეროს მიკუთვნებული სასწავლო კურსით (ერთი სასწავლო კურსი) რომელიც პროგრამის აღწერილობაში მოცემული საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე მიაწოდებს ინფორმაციას დოქტორანტებს. მიზანშეწონილია, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს ტანდემური ლექციების ფარგლებში გაუძღვნენ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებად მოაზრებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რადგან პროგრამაზე სწავლას ასევე გააგრძელებენ მომიჯნავე სფეროს სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულები, ეს კურსი ასევე, საინტერესო შიძლება იყოს იმათთვისაც, ვისაც სხვადასხვა წლებში/უნივერსიტეტებში აქვთ იგივე განათლება მიღებული.
მისი თქმით აკრედიტაციის ვიზიტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ძლიერი მხარეების გამოკვეთა, ექსპერტთა ჯგუფს მოეწონა კვლევითი კომპონენტი, რომელიც აშკარად არის პროგრამაში, განსაკუთრებით კვლევითი აქტივობების დაფინანსება, რაც ძალიან იშვიათია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ამიტომ ახალგაზრდა მეცნიერების, განსაკუთრებით დოქტორანტების ხელშეწყობა კვლევის დაფინანსების არის პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ხელმძვანელმა, ნანი მაჭარაშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის პირობებში კოლეგიალური, კომპეტენტური პროცესის წარმართვისათვის. მას სურდა წარმოედგინა არგუმენტაცია რეკომენდაციებთან დაკავშირებით. პირველ რეკომენდაციის შესახებ განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც პროგრამის მიზნები და შედეგები უშუალოდ საჯარო მმართველობის სფეროს არ სცდება და ფოკუსირებულია

უშუალოდ დარგისთვის რელევანტური ინტერვენციებით, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტის დონეზე, მსგავსი განმარტებისა და დაზუსტების საჭიროება ნაკლებად რელევანტურია. „სადოქტორო სემინარი 1-ის“ სილაბუსში განმარტებულია, რომ „სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს საჯარო მმართველობის დარგის/ქვედარგის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე“, რაც აკმაყოფილებს რეკომენდაციაში მითითებულ მოთხოვნას. ცხადია, სადოქტორო სემინარი, პროგრამის მიზნებსა და შედეგებთან თავსებადობის პირობებში, რაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ არც დამდგარა რაიმე სახის კითხვის ქვეშ, ვერ გასცდება საჯარო მმართველობის თემატიკას. უფრო მეტიც, პროფესორის ასისტენტობის შემთხვევაშიც კი, საგანმანათლებლო პროგრამა მოითხოვს საჯარო მმართველობისთვის რელევანტური სასწავლო კურსის პირობებში ასისტენტობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია თავისი სიმძიმით თავისუფლად შეიძლება განვიხილოთ რჩევის და არა რეკომენდაციის სახით, სემინარის სახელწოდებაში საჯარო მმართველობის დამატების დონეზე.

მეორე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ იმ პირობებში, როდესაც დარგობრივი სასწავლო კურსი - „საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის წამყვანი თეორიული და კვლევითი ასპექტები“ წარმოდგენილია 8 კრედიტიანი (200 საათი) საგნით, რომელიც ფარავს ერთი მხრივ, საჯარო მმართველობის ჩამოყალიბებიდან ვიდრე გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ისეთი თეორიებს, როგორიცაა ბიუროკრატიული კონტროლის თეორიები, ორგანიზაციული პოლიტიკის თეორიები, ინსტიტუციონალური თეორიები, საჯარო მენეჯმენტის თეორიები, პოსტმოდერნისტული თეორიები, გადაწყვეტილებათა მიღების თეორიები, რაციონალური არჩევანის თეორიები, მმართველობის თეორიები, ხოლო მეორე მხრივ, აქცენტირებას აკეთებს 90-იანი წლებიდან დღემდე საჯარო მმართველობის მაკრო სოციეტალური დონის პარადიგმულ (გლობალურ კრიზისი, მმართველობის პროცესში გარე აქტორთა ჩართულობის, პოპულისტური გადაწყვეტილებების ფონზე მიმდინარე), ისე მეზო დონეზე - პროფესიული საჯარო სამოხელეო სისტემის შიგნით მიმდინარე ცვლილებებზე და ამავდროულად, მაკრო დონეზე საჯარო მმართველობის სისტემაში ინოვაციური გადაწყვეტილებების დანერგვის სპეციფიკაზე, დამატებითი საგნის საჭიროებას ნაკლებად ხედავენ. არგუმენტი, ასევე განპირობებულია იმ გარემოებით, საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, ასევე დამატებით განიხილება 10 კრედიტის მოცულობის მქონე სავალდებულო „სადოქტორო სემინარი 1“, რომელიც სწორედ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდირებული მოდელირებითაა აგებული და გულისხმობს პროგრამის აღწერილობაში მოცემული საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე საჯარო მმართველობის პრობლემური საკითხებზე დამატებითი ინფორმაციას მიწოდებასა და სწორედ ტანდემური ლექციების ფარგლებში სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებად მოაზრებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ხორციელდება. შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ მეორე რეკომენდაციაში წარმოდგენილ მოთხოვნებს პროგრამა იმთავითვე აკმაყოფილებს.

რჩევის (სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით და აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები) შესახებ მან, განაცხადა, რომ აღნიშულთან დაკავშირებით, გვსურს გავაკეთოთ განმარტება, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მიმართავს მსგავს პრაქტიკას, თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულ რამდენიმე ახალ აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში, ეს პრაქტიკა გაცილებით პროაქტიულ რეჟიმში იქნება უზრუნველყოფილი.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ ამ ტიპის პროგრამაში მისთვის მთავარი გამოწვევა არის მისი გადასვლა 0413 კვალიფიკაციის ქვეშ, რის საფუძველზეც საჯარო მმართველობა ჩაშალეს მენეჯმენტის და ადმინისტრირების მიმართულებით, როდესაც შედიოდა პოლიტიკის მეცნიერებებში თუ რა იყო საკვლევი ეს იყო გასაგები, ახლა კი კვლევის არეალი არ გაფართოებულა, არამედ შეიცვალა. დაინტერესდა თუ როგორ აქვს წარმოდგენილი დაწესებულებას აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა, რომ არ გავიდნენ მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ქუდქვეშ, მეორე საკითხია რომ აქ საერთოდ არ უნდა იყოს, რაც წარმოადგენს ყველას პრობლემას, ვინც თავის დროზე აღნიშნულ საკითხს დაეთანხმა, მაგრამ ახლა ამის გასწორება შეუძლებელია.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, აღნიშნა, რომ აკადემიური პროგრამების ძირითადი ტვირთი გადადის მეოთხე სტანდარტზე, განსაკუთრებით სადოქტორში, რადგან აქ მკვლევარი-პროფესორები არის ძალიან მნიშვნელოვანნი, კარგი იქნება თუ ყველას CV იქნება მათი გამოქვეყნებებით, რადგან მან ვერ ნახა წარმოდგენილ დოკუმენტებში (პერსონალის პირად საქმეში), სადაც ხელმძღვანელები ცალკეა მითითებული, არის მხოლოდ დიპლომი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, უმეტესად არ არის მათი პუბლიკაციები, ზოგჯერ CV წარმოდგენილია, მაგრამ პუბლიკაციები არ არის ან არ აქვს პროფესორს, ამიტომ დაინტერესდა თუ რა კონკრეტული მოთხოვნები აქვს დაწესებულებაში სავარაუდო სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებს, რადგან მათ სიაში ნახა რამდენიმე ადამიანი, რომელთაც დისერტაცია დაცული აქვთ 2020-2021 წელს და ა.შ. ეს არის თუ არა რელევანტური სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელად, რადგან აღნიშნულ ფოლდერში არის, საბჭოს წევრმა ჩათვალა, რომ დაწესებულებისთვის რელევანტურია, მაგრამ დაზუსტება ამჯობინა. გარდა ამისა დაინტერესდა თუ როგორ აფასებს დაწესებულება სამეცნიერო კვლევით პროდუქტიულობას სამომავლო ხელმძღვანელისა, რადგან მითითებულია 24 ადამიანი, რომლებიც სავარაუდოდ აფილირებული პროფესორები არიან, ხელმძღვანელი უნდა იყოს თუ არა აუცილებლად აფილირებული და არის თუ არა შესაძლებელი პროფესორის მოწვევა ხელმძღვანელობისთვის. ასევე დაინტერესდა კონკრეტული კრიტერიუმებით, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი, ბოლო 3 წლის განმავლობაში თუ უნდა ჰქონდეს სავალდებულოდ გამოქმევყნებული პუბლიკაცია, აღნიშნულ სფეროში უნდა ჰქონდეს თუ არა და ა.შ. მან ნახა დაცული დისერტაციები, ერთ-ერთი იყო 2015 წელს დაცული, დისერტაციის დასაწყისში ეწერა - „საჯარო მმართველობა, როგორც სპეციალიზაცია“, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას აღნიშნული პროგრამა და რას მოიაზრებს სპეციალიზაცია.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამა არის ძალიან საინტერესო, მითუმეტეს მისი კვლევითი თემები, თუმცა ეკონომიკური ბლოკის კვლევითი საკითხები დააკლდა ჩამონათვალში, მისი თქმით თემატიკის ჩამონათვალში არ ჩანს სავარაუდო კვლევების თემატიკა, მაგ., ადგილობრივი ეკონომიკური კუთხით განვითარების საკითხები, დაინტერესდა არის თუ არა აღნიშნული კვლევის სპეციფიკა სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი, ნანი მაჭარაშვილი, დაეთანხმა საბჭოს წევრ გიორგი ღაღანიძეს, რომ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ცვლილება აქტიური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, ცენტრს აქვს გამოცდილება ჩართულობის მოდელის, სადაც ყველა უნივერსიტეტის წარმომადგენელი მართავს ამ პროცესს. მისი კითხვა შეფასდა მნიშვნელოვნად, დაწესებულების წარმომადგენლებმა სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაში დააინტეგრირეს პოტენციური 30 თემატიკა, მთელი კონცენტრაცია აგებულია საჯარო მმართველობის ლოგიკით, საჯარო მმართველობის რეფორმირების მოდელები, ნაციონალური, ადგილობრივი თუ ა.შ. შეთავაზებული საკითხები ფარავს, განზომილებას, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ პრობლემატიკას და რეალურად ნებისმიერი პრობლემის კვლევაა შესაძლებელი, მან აკადემიური პერსონალიდან გამოარჩია ალ. ს., რომელიც არის სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი და აქვე შემოდის საჯარო მმართველობისთვის რელევანტური ყველა საკითხით, ინდივიდუალური, ჯგუფური,

გუნდური, ორგანიზაციული, სისტემური და სოციალური განზომილება, ამიტომ საჯარო მმართვლეობის ლოგიკის ჩართულობის ხარისხი საჯარო მმართველობაში, ანგარიშვალდებულება, ადამიანური რესურსების მართვა, რეალურად ის კონკრეტული პარამეტრები, რომელიც კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოშია, ხარისხისხის განვითარებაზე ორიენტირებული HR მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი, შესრულების ხარისხის მართვა და ა.შ. ყველაფერი კონცენტრირებულია საჯარო მმართვლეობის ლოგიკით. რაც შეეხება თემატურ გაშლას, ნაკლებ წარმოდგენასთან მიმართებაში, მან აქცენტი გააკეთა იმ ინსტრუმენტებზე, რომლებსაც აქტიურად იყენებენ, ეკონომიკური ანალიზის ინტრუმენტები, აქვე გაკეთებულია განმარტება, რომ 30 თემატიკის წარმოდგენის პირობებში ეს თემები რელევანტურია ყველა სექტორულ ჭრილში, გარემოს დაცვა, მენეჯმენტი, განათლების მენეჯმეტი და სხვა. სავარაუდო თემატიკა აკადემიური პერსონალის პოტენციალიდან, და ემატება აღნიშნული საკითხების კველვის პოტენციალი, ამიტომ მისი მოსაზრებით თავსებადია, თუნდაც იმ კონკრეტულ ჩარჩოსთან, რომელიც მიწოდებულია. მისი თქმით პროგრამასთან ასოცირებულია 27 აკადემიური პერსონალი, აქედან სასწავლო პროცესისთვის იყენებენ 24 მათგანს, რომელთაგან დიფერენცირებულია 20, რომელსაც მინიჭებული აქვს ხელმძღვანელის სტატუსი და სწორედ სადაც საბჭოს დააკლდა ინფორმაცია და კვლევითი, პროფილური კვლევების გამოცდილება, დაწესებულებას არ დაუინტეგრირებია, როგორც ხელმძღვანელები, რომელთა განსაზღვრის მთავარი კრიტერიუმი მათთვის არის: ხარისხი, შესაბამის დარგობრივ სფეროში კვლევით გრანტებში მონაწილეობა; კვლევითი პროექტების გამოცდილება; კომუნიკაციების ხარისხი; როგორც კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, განაცხადა, რომ დაწესებულება აქტიურად მართავს სამეცნიერო კვლევითი პროდუქტიულობის მაჩვენებელს, ა, ბ, გ, დ კატეგორიის პროფესორები და მათთან მიმართებაში კონკრეტული პერიოდისთვის აქვთ სამიზნეები, რომლების კვლევითი პროდუქტიულობის ხარისხს ამოწმებს და ხელმძღვანელად შესაძლებელია შერჩეული იყოს ადამიანი, რომელსაც მინიმუმ დაცული აქვს 3 სამეცნიერო კვლევა. საჯარო მმართველობის ხარისხის მინიჭების შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია ახალი ცოდნის გენერირება, დაწესებულება აკომბინირებს იმ პერსონალს, რომელსაც ახალი დაცული აქვს დისერტაცია, თანახელმძღვანელის პრინციპით, ანუ ამ შემთხვევაში არის კომბინაცია ორი ხელმძღვანელისა, თან ერთობლივი მუშაობის, ეს ხდება კომპონაციით საჯარო მმართველობისთვის და რელევანტური გამოცდილების მატარებელი ადამიანებით. საერთო ჯამში, ეს არის საჯარო მმართველობის - ორი დოქტორის ხარისხის მფლობელი, სოციალური მეცნიერების - 5, ეკონომიკა - 3, სოციოლოგია - 1, პოლიტიკის მეცნიერება - 4, მაგრამ ოთხივე მუშაობს საჯარო მმართველობის მიმართულებით და სამართლის მიმართულებით - 2, გარემოს დაცვის მენეჯმენტზე ინტეგრირებულნი არიან ადამიანები, რომლებსაც დოქტორის ხარისხი აქვს საბუნებისმეტყველო მიმართულებით, თავისი პროფესიული კვლევითი კომპონენტით არიან საჯარო მმართველობის სპეციალისტები, ამიტომ მისი მოსაზრებით თანახელმძღვანელობა ერთი ინსტრუმენტია, მაგრამ ვისთანაც პროდუქტიულობა დაბალი იყო ხელმძღვანელებად არც დააიდენტიფიცირეს. მან განმარტა, რომ პროგრამაზე არის 3 აკადემიური პერსონალი ეკონომიკის მიმართულებით და რეალურად თემატიკა წარმოდგენილია, მაგრამ ეკონომიკური მმართველები, ისევე როგორც სხვა დარგობრივი საკითხები იდენტიფიცირებულია.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი, დაინტერესდა, შეიძლება თუ არა განხილული იყოს ხელმძღვანელად პირი, რომელსაც აქვს 2010, 2012, 2015 წლებში გამოქვეყნებული სტატიები/პუბლიკაციები და მას შემდეგ არაფერი გამოუქვეყნებია,

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანი მაჭარაშვილმა, დასძინა, რომ ეს არის H და Z ინდექსები, რასაც დაწესებულება საერთო ჯამში უყურებს, მისი თქმით ასეთი პროფესორების დაინტეგრირება იყო კითხვის ნიშნის ქვეშ, ის ადამიანები, რომლებმაც გამოქვეყნენბი აქვთ 2010-2012 წლამდე უარი ეთქვათ ხელმძღვანელობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ციტირება მაღალი აქვთ, პროდუქტიულობის ინდექსი წავიდა იმ მიმართლებით, რასაც ჰქვია საჯარო მმართველობის სფეროში პრაქტიკული უნარების განვითარებაზე

ორიენტირებულ სისტემაში კონტრიბუცია, უარი ეთქვათ და ამიტომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია არ იყოს წყვეტა და მუდმივად იყოს დასტური იმისა, რომ ეს არის სამეცნიერო პროფილის გარანტი და მომავალში გაგრძელება. სტუდენტების პროპორცია და იდენტიფიცირება საკმაოდ მისაღებია, ავტომატურად იყოს რელევანტური, დაწესებულებისთვის ის მკვლევარები, რომლებმაც თავის დროზე გასწიეს ამ ტიპის კონტრიბუცია, მაგრამ გაჩერებულნი არიან მრავალი მიზეზით და შესაბამისად მათზე აქცენტირება არ გაკეთებულა.

საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის, მოსაზრებით 2015 წლის შემდეგ უნდა განიხილონ საჯარო მმართველობისთვის აქტუალური პროფესურა, რადგან ფუძემდებლური რეფორმა 2015 წელს მოხდა, თუ ადამიანმა 2012-ში, 2013-ში, 2014-ში რაღაც დაწერა შეიძლება იყოს სხვა მიმართულებით კვლევა და არ პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს, თუკი საზომ წერტილად აიღებენ 2015 წელს და შემდეგ წლებს, უკეთესი იქნება. საბჭოს წევრი ისურვებდა მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა ენახა CV-ები და გამოქვეყნებები, რისი შესაძლებლობაც არ აქვს, თუმცა ვერ ხედავს გამოთხოვისა და გადახედვის საჭიროებას, თუმცა კარგად ვერ გაერკვია, ამიტომ კარგი იქნებოდა 10 ხელმძღვანელის მაინც გამოქვეყნებები, რომ ენახა ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მათთან არის აქტიური რეფორმირების ლოგიკა, 2015-2020 წლის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, რომელის მონაწილენიც არიან და შემდგომი გაუმჯობესების სტრატეგიაზე მუშაობენ, თუმცა ამ რაკურსით ძალიან კარგი გამოცდილება აქვთ, რადგან უმაღლესი თანამდეობის საჯარო მოხელის კვლევა გაკეთდა, იგივე შეფასების სისტემებში გამოცდილება, ადამიანური რესურსების მართვის გამოცდილება და ა.შ. დასტურდება, მართალია რეფორმები 2015 წლიდან იწყება, მაგრამ მკვლევარები რომლებიც საჯარო ადმინისტრირების საკითხებზე იყვნენ კონცენტრირებულნი მანამდეც, საკმაოდ რელევანტური რესურსია, დღის წესრიგი განხორციელების დაგვიანდა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს რომ პროგრამაზე არსებული მკვლევარები არ არიან ადამიანები, რომლებიც აღნიშნული საკითხების კვლევით იყვნენ დაკავებულნი, ეს იქნება MPM-ის რეჟიმი, სააგენტოების რეჟიმი და სხვა ლოგიკისა და მოდელირების განვითარება.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციულმა ხელმძღვანელმა, ნათია ჭიღვარიამ, განაცხადა, რომ საჯარო მმართველობა ძველ საკვალიფიკაციო ჩარჩოში იყო მიმართულებათაშორის სპეციალობები და ის არ იყო 0413-ში, რომელიც იყო გარემოს დაცვა და ინჟინერია, აქედან გამომდინარე ეს მიმართულებათაშორისი კონცეფცია შეიძლება უფრო საინტერესო იყოს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, დასძინა, რომ ახლა არის 0413 კვალიფიკაციის ქვეშ.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელმა, ნათია ჭიღვარიამ, განაცხადა, რომ ახლა არის ადმინისტრირებაში და შესაძლებელია ეს საკითხი იყოს გადასახედი.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აკადემიურმა ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საჯარო მმართველობის წინმსწრები, იყო სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა, საბჭოს სწორედ ამ პროგრამასთან დაკავშირებით დაცული დისერტაცია ჰქონდა მიწოდებული და იქ კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე ჰყავდათ ერთი მედია მენეჯმენტის მიმართულებით, მედიის კვლევები, მეორე იყო პოლიტიკის მიმართულებით და მესამე საჯარო მმართველობის მიმართულებით, ამიტომ ეს შიდა იდენტიფიქატორი იყო გამოყენებული.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, დააზუსტა სპეციალურად ეწერა თუ არა ზემოაღნიშნული ფრაზა.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აკადემიურმა ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს იყო სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და შიდა იდენტიფიკატორი იყო საჯარო მმართველობის თემატიკის კვლევის შესახებ.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციულმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დეტალური განმარტება არის პროგრამის აღწერილობაში ადამიანური რესურსის შესახებ, სადაც განსაზღვრულია ვინ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი და ა.შ. მისი ხედვით პროგრამაში ჩართული ყველა პირის რეზიუმეს ბოლოში მითითებულია გამოქვეყნებები.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განმარტა, რომ ჩამოწერილი ნამდვილად იყო, მაგრამ როგორც ნახა ბევრი არ ემთხვეოდა და ამიტომ დასვა დამაზუსტებელი კითხვა. ზოგიერთი პერსონალის ფოლდერში არის მხოლოდ დიპლომი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ზოგიერთს არ ახლავს CV და ვისაც ახლავს, ნაწილს აქვს ხოლო ნაწილს არ აქვს გამოქვეყნება, სწორედ ამიტომ საბჭოს წევრმა იფიქრა, რომ შესაძლებელია CV-ში არ ჩანდა აღნიშნული ინფორმაცია. მან დაწესებულებას ურჩია უნიფიცირებული CV-ის დამკვიდრება, რათა ყველა ადამიანს შეეძლება ნახოს ინფორმაცია მარტივად.
საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრს, მისი თქმით პუბლიკაციების რაოდნობა ბოლო წლების განმავლობაში 100-ია, მათ შორის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, მათ შორის აშშ-ის უნივერსიტეტების მხარდაჭერით. თუმცა ზოგადად მისი მოსაზრებით პროცესის მართვის პირობებში ნამდვილად გამოადგებოდათ ერთიანი წარმოდგენა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:**

**დაწყების დრო: 18:03**
**დასრულების დრო: 19:37**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება. 3.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მესამე სტანდარტის შეფასების ცვლილება. 4.1 და 4.2 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება და სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 5.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**

**რეკომენდაციები:**

ა) რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილად ათვისების მიზნით კვლევის თემატიკის დაზუსტება და მისი შესაბამისობაში მოყვანა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის კოდთან.

ბ) რეკომენდირებულია, რომ სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებში (ცხრილი #2) - დაზუსტდეს სადოქტორო სემინარი I და მითითება გაკეთდეს, რომ ამ კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს მოუწევთ საჯარო ადმინისტრირების კონკრეტული სპეციფიური თემის დამუშავება;

გ) რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამის არჩევითი კომპონენტი გაძლიერდეს საჯარო ადმინისტრირების/მენეჯმენტი და ადმინისტრირების სფეროს მიკუთვნებული სასწავლო კურსით (ერთი სასწავლო კურსი) რომელიც პროგრამის ღწერილობაში მოცემული საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე მიაწოდებს ინფორმაციას დოქტორანტებს. მიზანშეწონილია, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს ტანდემური ლექციების ფარგლებში გაუძღვნენ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებად მოაზრებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

დ) რეკომენდირებულია დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების კვლევის თემატიკა შესაბამისობაში იყოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის კოდთან.

ე) რეკომენდირებულია მოხდეს პერსონალის პირადი საქმეების სრულყოფა, რათა დადასტურდეს პროგრამაში ჩართული პირების კომპეტენცია და კვლევითი ეფექტიანობა შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებით.

ვ) რეკომენდირებულია, პროგრამა გაძლერდეს სათანადოდ დადასტურებული სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე პერსონალით.

ზ) რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აამოქმედოს შიდა მონიტორინგის მექანიზმები.

**რჩევები:**

თ) სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები.

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საჯარო მმართველობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**საბჭოს სხდომა დატოვა მარიამ შენგელიამ.**

**სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.**

**3. მესამე საკითხი:** შპს ალტე უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საერთაშორისო ურთიერთობები<br>International Relations |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტირებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | გადაწყვეტილება №646<br>08.11.2012 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი<br>Bachelor of International Relations |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | პოლიტიკის მეცნიერება და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | უნივერსიტეტის ქ №2, ქ. თბილისი; 0177, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფავლენიშვილმა, განაცხადა, რომ დაწესბეულების მიერ გადაგზავნილი არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ დარჩენილი რეკომენდაციები რამდენიმე ჯგუფად არის გაერთიანებული.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები დაჯგუფებული სახით:**
1. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, სადაც ძირითადი არის ის, რომ პროგრამა ძალიან პრაქტიკულია, მაგრამ კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროგრამა უნდა დაბალანსდეს თეორიული კურსებითაც, ამავე სტრუქტურისა და შინაარსის გასაუმჯობესებლად, ზოგადი რეკომენდაციაა გაცემული, რომ გადაიხედოს სილაბუსები: ა. კურსის მიზეზისა და შედეგის თანხმობაში მოყვანა, ბ. აკადემიური ლიტერატურის აქტიურად გამოყენება, გ. ლიტერატურის სწორად მითითება, დ. ტრანსფერული უნარების გამაძლიერებელი აქტივობების დამატება, ამავე დროს ჩაშლილია თვითონ სტანდარტებში/რეკომენდაციებში, თუ რა კონკრეტულ სასწავლო კურსებს სთავაზობენ დასამატებლად და რომელი კურსები უნდა შეიცვალოს, საუბარია დარგის კურსებზე, ამავდროულად კვლევით უნარების გასავითარებლად აუცილებელია კვლევითი ბლოკის ცვლილება: აკადემიური წერის დამატება, კველევის მეთოდებისთვის სავალდებულო სტატუსის მინიჭება, ამასთანავე რეკომენდირებულია ასევე პრაქტიკული საგნის დამატება ან სტაჟირება, თუ პრაქტიკული საგანი იქნება უნდა იყოს სავალდებულო. ტრანსფერული უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის გასავითარებლად აუცილებელია სტუდენტს შესთავაზონ სტაჟირება პოტენციურ დამსაქმებელთან, ასევე რეკომენდაციაა გაცემული ინგლისური ენის კომპონენტის შესახებ, მიღების კრიტერუმში არ არის ინგლისური ენა, თუმცა გაიჟღერა, რომ მომავალი წლიდან ინგლისური ენა იქნება მიღების კრიტერიუმი, ამასთან მნიშვნელოვანია განხორციელდეს ტესტირება პოტენციური ან უკვე ჩარიცხული სტუდენტების ენის დასადგენად.
2. არის პროგრამის პოპულატიზაცია, რეკომენდაცია გაცემულია, რათა შემუშავდეს სერიოზული სტრატეგია იმისათვის, რომ მოიზიდონ სტუდენტები და გაძლიერდეს ის მექანიზმები, რომლითაც პროგრამა შეძლებს სტუდენტების შენარჩუნებას. მნიშვნელოვანია გაძლიერდეს/გააფართოვდეს ინტერნაციონალიზაცია, მემორანდუმების განახლება, ქსელის გაფართოება, სტუდენტების ინფორმირებულობა, სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიურ/გაცვლით პროექტებში ჩართვა და ა.შ;
3. აკადემიური პერსონალის განვითარება, პროგრამა მუდმივად განახლების რეჟიმშია და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე მისვლის წინაც განახლდა, მიიწვიეს ლექტორები და ჩართეს

პროგრამაში, ამიტომ გახდა აღნიშნული რეკომენდაციის დამატების აუცილებლობა, რომ ჩატარებულიყო მთელი რიგი ტრენინგები, როგორც სილაბუსის შექმნის, ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების გაცნობისთვის და სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობისთვის, რათა პრაქტიკოსმა ლექტორებმა ისინი აქტიურად გამოიყენონ კურსის ფარგლებში;

4. პროგრამის გაუმჯობესებისათვის გაცემულია რეკომენდაცია, რომელიც ეხება იმას, რომ ახალი, თუ უკვე განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი იყოს აქტიურად ჩართული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში და მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის ხელმძღვანელთა ჯგუფი გამლიერდეს უშუალოდ დარგის სპეციალისტით, რომელიც სულ მცირე 5 წელი მაინც არის თავისი პედაგოგიური თუ კვლევითი მუშაობით დაკავშირებული საერთაშორისო ურთიერთობის დარგთან.

შეჯამების სახით განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით აკადემიური ნაწილისთვის, სილაბუსების, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასების შესახებ.

ექსპერტმა, გვანცა აბდალაძემ, განაცხადა, რომ თვითონ უნივერსიტეტს ჰყავს ახალი მფლობელები, სრულად ახალი მენეჯმენტი, პროგრამა გაახლდა, მოიწვიეს ახალი ლექტორები, თუმცა თითქოს უცებ მოდა პროგრამის შემუშავება. ვიზიტის დრო ზოგიერთი ლექტორი იმასაც ვერ ასახელებდა თუ რა პროგრამაზე იყო საუბარი და რა კურსს კითხულობდნე. თუ აღნინშული პროგრამა წარმოდგენილი იქნებოდა ახალი პროგრამის სტატუსით ალბათ უფრო სხვა პროცესები იქნებოდა, მაგრამ ეს არის რეაკრედიტაცია და ექსპერტთა ჯგუფი იძულებული იყო სტანდარტის მიხედვით შეეფასებინათ წინა წლების შედეგების გათვალისწინებით მოქმედი პროგრამა, აღნიშნული შედეგები არც ისე ეფექტური იყო, ამასთანავე საბაკალავრო ნაშრომები საერთოდ ვერ წარმოადგინა დაწესებულებამ, წარმოდგენილი იყო მხოლოდ მათი ჩამონათვალი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ წრმოდგენილი იყო 2017 წლის საბაკალავრო ნაშრომების სია და არა ნაშრომები.

ექსპერტმა, გვანცა აბდალაძემ, განამარტა, რომ ხელმძღვანელობა შეიცვალა ზაფხულში და მათ ძალიან მოკლე ვადაში დაიწყეს დიდი რეფორმები, რაც ინტერვიუებშიც გამოჩნდა, მათ აქვთ მიზანი/სურვილი პროგრამის გაუმჯობესებისათვის, აქვთ დიდი გამოცდილება ზოგადად მენეჯმენტში, რაც იძლევა პოზიტიურ იმედს, რომ ამას შეცვლიან, თუმცა ამ ეტაპზე არც ისე შთამბეჭდავი სურათი იყო.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, რამაზ კუკულაძემ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა შეიცვალა დასახელება და ჰქვია ალტერ უნივერსიტეტი, სადაც სიტყვა „ალტერ“ ნიშნავს მაღალ/უმაღლეს წერტილს და დაწესებულებას აქვს ძალიან დიდი იმედი/ამბიცია, რომ დაწესებულება 3 და 5 წლის პერსპექტივაში იქნება გამორჩეული უნვიერსიტეტი, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად რეგიონში. მისი თქმით, დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ თითოეულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აქვთ არგუმენტირებული პოზიცია. მან პირველი რეკომენდაციის (რეკომენდებულია, მოხდეს მემორანდუმების განახლება, საერთაშორისო ქსელის გაფართოება (მაგ. Erasmus+ გაცვლით პროგრამებში ჩართვა და სხვა) სტუდენტების ინფორმირება და უცხოეთში სწავლის წამახალისებელი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება) შესახებ განმარტა, რომ როგორც ცნობილია უნივერსიტეტს დიდი ისტორია აქვს, მაგრამ ძალიან ცოტახანია სრულფასოვნად დაიწყო მუშაობა, განვითარების დინამიკას თუ შევხედავთ, დაწესებულება ცოტა სტუდენტს იღებდა, საგულისხმოა დაწესებულების მიერ მიწოდებული რიცხვი, 2016-2018 წლების შუალედში უნივერსიტეტმა მიიღო 63 სტუდენტი, რომელთაგან გაცვლითი პროგრამით ისწავლა 16-მა სტუდენტმა, პროცენტულად ეს არის, დაახლოებით 25%, რაც საკმაოდ

შთამბეჭდავი მაჩვნებელია. შემედეგ იყო კორონავირუსის პანდემია, დაკეტილი იყო მთელი მსოფლიო და მძიმედ მიდიოდა პროცესები, თუმცა დაწესებულების ახალმა გუნდმა განაახლა ამ მიმართულებით მუშაობა, ეს არის მისი და საერთაშორისო ურთიერთობების სამუშაო აღწერილობა, რადგან ეს არის მუდმივი პროცესი, უნივერსიტეტი, რომელიც ორიენტირებულია განვითარებაზე მუდმივად უნდა ვითარდებოდეს ამ ჭრილში. პირველ რიგში Erasmus+-ს ვადა არ აქვს გასული და მუდმივად მიმდინარეობს, პირველ რიგში დადეს ბაჰარატის მეცნიერების და ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან მემორანდუმი, რომელიც არ ეხება საერთაშორისო მიმართულებას, მაგრამ ზოგადად უნივერსიტეტის წარმატებად მიიჩნევა, საუბარია სამედიცინო, ხელოვნური ინტელექტის, მონაცემთა ბაზის მეცნიერების განვითარებაზე, რაშიც იგულისხმება, სტუდენტების/პროფესორების გაცვლა, ერთობლივი კონფერენციები და ა.შ. გარდა ამისა, შეთანხმდნენ მემორანდუმის საბოლოო Draft-ზე ჩინურ კომუნიკაციების ინსტიტუტთან, რაც ეხება თანამშრომლობას და მოიცავს კონკრეტულ ასპექტს, რომელიც სწორედ საერთაშორისო ურთიერთობის განხრითაა და გულისხმობს ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას მსოფლიოს თანამედროვე გამოწვევებთან დაკავშირებით. ასევე, ერთი მემორანდუმია საბოლოო სტადიაში, ძალიან მაღალი დონის ამერიკულ უნივერსიტეტთან, საიდანაც მაისის ბოლოს ჩამოვა 12 სტუდენტი, სამ პროფესორთან ერთად და 20 დღის განმავლობაში ექნებათ „მრგვალი მაგიდა“, ერთობლივი დისკუსიები, რომლის პროგრამაც არის „დიალოგი ცივილიზაციებს შორის“, ეს არის ის რაც დაწყებულია და 2 კვირის განმავლობაში დასრულდება. მისი მოსაზრებით, უნივერსიტეტი სწორ გზაზე დგას და ეს არის მუდმივი პროცესი, დაწესებულებას სურს ბევრ ქვეყანასთან და უნივერსიტეტთან ჰქონდეს ურთიერთობა, ამიტომ მიაჩნია, რომ უნივერსიტეტი სწორ გზაზე დგას და კიდევ უფრო განავითარებენ აღნიშნულ მიმართულებას.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა, ქეთევან ცხადაძემ, განაცხადა, რომ სავარაუდოდ საბჭოს წევრებმა განსახილველი უნიერსიტეტის შესახებ კოფუცის ინსტიტუტთან თანამშრომლობიდან იციან, რომელიც ახლაც გრძელდება. რადგან უცხო ენის კომპონენტი სააერთაშორისო ურთერთობის პროგრამაზე ძალიან თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია და რა რიხვებიც დაასახელა პრეზიდენტმა, სწორედ ამდენი სტუდენტი იღებდა გაცვლით პროგრამებში (ჩინეთში) მონაწილეობას, თავისთავად ინტარნაციონალიზაციის საკითხი, მითუმეტეს საერთაშორისო ურთერთობებისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტია და დაწესებულებას მუდმივ პროცესად მიაჩნიათ, ასევე აქვთ ინტერნაციონალიზაციის დოკუმენტი.

დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში რეკომენდაციათა დაჯგუფება გამომდინარეობდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დუბლირებული, ბევრს სტანდარტში ერთი და იგივე რეკომენდაციებით, ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე შემთხვევაში გაიზიარა არგუმენტირებული პასუხი, მაგრამ 1.1 და 2.4 კომპონენტებში არსებული რეკომენდაციები იდენტური შინაარსით კვლავ არის, რომელიც ეხება პრაქტიკის, როგორც არჩევით კომპონენტად შემოღებას, ან თუ ამას არ გაითვალისწინებენ პრაქტიკის სავალდებულო სახით შემოღებას, მისი განმარტებით, არჩევით კომპონენტად ნებისმიერი სასწავლო კურსის შემოტანა პროგრამის სწავლის შედეგებს ვერ ცვლის, ამიტომ ამ ნაწილში არ ჩერდება, რაც შეეხება პრაქტიკული კურისის სავალდებულო კომპონენტად შემოტანას, სწორედ აღინიშნა, რომ პროგრამა გადის რეაკრედიტაციის პროცესს, რაც 1-2 თვე არ გრძელდება, წელიწად ნახევარი იმუშავეს აღნიშნული პროგრამის განახლებაზე, მოდიფიცირებაზე, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულნი, არა მხოლოდ პროგრამის ხელმძღვანელები, არამედ თანახელმძღვანელები, განმახორციელებელი პერსონალი და თვითშეფასების ჯგუფი, რომელთან ერთადაც მუმივად ზრუნავდნენ პროცესზე. მისი თქმით ზემოაღნიშნული მოდიფიცირების პერიოდში პირველად განახორცილეს შრომის ბაზრის კვლევა, დამოუკიდებლად. ძალიან სანტერესო კვლევა წარმოადგინა დაქირავებულმა კომპანიამ, რომელმაც შემდეგ უკვე გავლენა მოახდინა პროგრამის მოდიფიცირებაზე, აქედან გამომდინარე აიღეს დამსაქმებლების ის დაკვეთა, რაც უნდა გაეთვალისწინებინათ პროგრამაში, რადგან საერთაშორისო ურთიერთობები არის ისეთი

დარგი, რომელიც თუ ვერ გაუძლებს გამოწვევებს საშინაო და პოლიტიკის მიმართულებით ვერ იქნება წარმატებული, შესაბამისად განმახორციელებელმა პერსონალმა თვითშეფასების ჯგუფთან ერთად წარმოადგინა მოსაზრება ჩაშენებული პრაქტიკის შესახებ, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაშიც დასტურდება, რომ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები სწორედ იმ უნარებს განუვითარებს სტუდენტს, რომელიც მათ სჭირდებათ.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ხომ არ სურდა რაიმეს დამატება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ფავლენიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის პრეიზდენტის მიერ ნათქვამი სამომავლო გეგმებია, თუმცა თუ უკვე დაიწყეს მუშაობა, ძალიან კარგია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა 2 თვის წინ, ამასთანავე ისინი არ აფასებენ სამომავლო გეგმებს, აფასებენ იმას, რაც ვიზიტის პერიოდში ხორციელდება.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა, ქეთევან ცხადაძემ განაცხადა, რომ სასწავლო კურსი „ზეპირი და წერითი კომუნიკაცია“ მოიცავს ყველა იმ სტანდარტს, რომელიც შედის აკადემიურ წერაში, ამიტომ არ მიაჩნიათ სწორად ახალი საგნის დამატება, თუმცა თუ სახელწოდებაზეა საუბარი შესაძლებელია მსჯელობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ლემონჯავამ, რეკომენდაცია 2-3-თან დაკავშირებით განმარტა, რომ ისინი თავდაპირველად გულისხმობდა ა. კურსის მიზეზისა და შედეგის თანხმობაში მოყვანას, ბ. აკადემიური ლიტერატურის გამოყენებას, გ. ლიტერატურის სწორად მითითებას, დ. ტრანსფერული უნარების გამაძლიერებელი აქტივობების დამატებას, რომელიც უკვე ჩაშლილია და კონკრეტულ საგნებს ეხება, მისი თქმით აღნიშნული რეკომენდაცია იწყება ტექსტით, რომ რამდენიმე საგანი, მათ შორის ერთი ინგლისურენოვანი საგანი, რომელსაც ამერიკელი კოლეგა კითხულობს, მიზანი გაწერილია მცდარად და არ შეესაბამება საგნების შინაარსს, სამი ინგლსურენოვანი საგანი და ერთი აღმოსავლეთ აზიის საგანი ტექნიკური შეცდომის გამო სილაბუსის ფორმაში მითითებული იყო ერთიდაიგივე შინაარსი პროგრამის მიზნებში, რაც გასწორებულია, როგორც „ტერორიზმის“, ასევე „ამერიკული დემოკრატიის“ მიზანი და იმ ფორმით, რომლითაც ახლაა მითითებული სრულად შეესაბამება პროგრამის მიზანს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფავლენიშვილმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ საგნებზე არ იყო გაცმეული რეკომენდაცია, რადგან ექსპერტთა ჯგუფმაც ჩათვალა ტენიკურ ხარვეზად, თვითონ საგნებთან პრობლემა არ ჰქონიათ, რეკომენდაციები გაცემულია სხვა კურსებთან დაკავშირებით და დროის სიმცირიდან გამომდინარე სთხოვა ესაუბრათ კონკრეტულ სასწავლო კურსებზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ლემონჯავამ, განაცხადა, რომ რადგან ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა რეკომენდაციაში მოცემული ნაწილი ამიტომ უპასუხეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სილაბუსები გადასახედია, ტექნიკური ხარვეზია და ა.შ.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ლემონჯავამ, აღნიშნა, რომ რა რეკომენდაციაც მიეცათ ყველა საკითხზე სურდა საუბარი, მნიშვნელოვნება, ნაკლებად მნიშვნელოვნების გაუთვალისწინებლად. მაგ., არის ჩანაწერი, რომ ყველა სილაბუსში განისაზღვროს მინიმალური ბარიერი/გამოცდაზე დაშვების წინაპირობები, რაც დაწესებულებისთვის უცნაურად გამოიყურება, რადგან ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ ტექსტში არის ჩანაწერი: „მისასალმებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოქნილბა სილაბუსებთან მიმართებით, ლექტორი თავად წყვეტს საკონტაქტო საათების განაწილებას, შეფასების ფორმებს, მინმალურ/მაქსიმალურ ბარიერებს, ფინალურ გამოცდაზე დაშვების წინაპირობას, შუალედური/ფინალური გამოცდის ხანგრძლივობას“, ასევე ტექსტში წერია: „შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი და აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში“, ამასთან ერთად პროგრამაში არ არსებობს არცერთი სილაბუსი, რომელშიც მითითებული არ არის მნიმალური კომპეტენციის ზღვარი, გამოცდაზე დაშვების

წინაპირობები და სხვა, ამიტომ მისთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა თუ რას გულისხმობს აღნიშნული ჩანაწერი, მისი მოსაზრებით კონტრავერსიალურია, რადგან ამბობენ რომ პრობლემაა და ასევე ამბობენ რომ ასეთი ტიპის რეგულირებები სილაბუსებში კარგად არის მოცემული. მისი თქმით აბსოლუტურად ყველა სილაბუსში არის განსაზღვრული მინიმალური ბარიერი და გამოცდაზე დაშვების სწინაპირობები, რაც აღნიშნულია ექსპერტთა ჯგუფის ტექსტშიც, ამიტომ აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებენ. რეკომენდაციის შემდეგი ნაწილი ეხება კურსს „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, რომელთან დაკავშირებითაც არის მითითება, რომ სასწავლო კურსის ერთ-ერთი მიზანი, ცენტრალური სადაზვერო სააგენტოს როლი საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში არის ძალიან ვიწრო და ეხება ერთ-ერთ სასწავლო თემას, რასთან დაკავშირებითაც განაცხადა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს სტრუქტურასა და მოქმედების მოდუსებს არ ასწავლიან სტუდენტებს, საუბრობენ შესაბამისი სტრუქტურის/ორგანოს მიერ, ამერიკის სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეების/რისკების შეფასებაზე, ბუნებრივია საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა გულისხმობს სახელმწიფოს წინაშე არსებული რისკების, გამოწვევების შეფასებასა და ანალიზს, რადგან აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი სეგმენტი, არის სწორედ ზემოაღნიშნულის შეფასება და მათზე საგარეო პოლიტიკის წარმოება, დაწესებულება ასევე ვერ გაიზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას ვიწრო მიზნის შესახებ, რადგან ის თავისთავში გულისხმობს, არა ერთეული სახელმწიფო ორგანოს მოქნილობის, სტრუქტურისა და ქმედების ტიპებისა და სქემების შესახებ ინფორმაციას, არამედ ეს არის სახელმწიფოს მიერ მის წინაშე არსებული საფრთხეების შეფასება, ანალიზი და საგარეო პოლიტიკის წარმოება, აშშ-ში მის დაგეგმვას აქვს ძალიან დიდი წვლილი, მისთვის გაუგებარია თუ რატომ შეიძლება ჩაითვალოს ამ ყველაფრის სტუდენტებისთვის მიწოდება ძალიან ვიწროდ, რაც ძალიან დიდი თემაა და სამაგისტრო კურსებიც კი ეთმობა. შემდეგი რეკომენდაციის თანახმად სასწავლო კურსი „დიპლომატიის ისტორია“ სტუდენტებს სთავაზობს მე-17-მე-19 საუკუნეში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებს, ექსპერტთა ჯგუფი კი ფიქრობს, რომ არა მხოლოდ ეს საუკუნეები უნდა ისწავლებოდეს, არამედ მე-20 საუკუნესთან დაკავშირებულ დიპლომატიურ თავისებურებებს უნდა გაეცნოს. დაწესებულება მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსები მოიცავს ისეთ სასწავლო თემებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არის სწორედ მე-20 საუკუნეში განვითარებული მოვლენები, რასაც კურსებიც კი ეთმობა. შემდეგი რეკომენდაციის თანახმად სასწავლო კურსს „დიპლომატიის ისტორია“, მის შემადგენლობაში შედის მე-17 საუკუნე ევროპაში, რეფორმაცია და კონტრ რეფორმაცია და სხვა, ამ კურსის მიზანი არის, მას შემდეგ რაც სტუდენტი გაივლის „საერთაშორისო ურთერთობების თანამედროვე განზომილებასა“ და „საერთაშორისო პოლიტიკას 1914 წლის შემდეგ“, ვისაც აინტერესებს მსოფლიო წესრიგის შექმნის ისტორია, მას შეუძლია აირჩიოს აღნიშნული სასწავლო კურსი და გაიაროს, დაწესებულებისთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა შეიყვანონ აღნიშნული სასწავლო კურსში, ასევე მე-20 საუკუნე, რომელსაც სხვა სასწავლო კურსებშიც ასწავლიან, კითხვა ძალიან საინტერესოა, რადგან საუბარია რეკომენდაციაზე. „მოლაპარაკების თეორიისა და პრაქტიკის“ შესახებ მისი განცხადებით ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ არ შეიცავს თეორიულ კომპონენტს, უნდა შეეცვალოს სახელი, დაერქვას „მოლაპარაკების პრაქტიკა“ და ამით პრობლემა ამოიწურება, აღნიშნული რეკომენდაციაც გაუგებარია დაწესებულებისთვის, რადგან აღნიშნული სასწავლო კურსი, მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა როგორ დავამყაროთ ეფექტური კომუნიკაცია, კონფერენციები, შეკითხვათა ტიპები და შენიშვნები, მოლაპარაკებების შესავლი, დისტრიბუციული მოლაპარაკებები, ინტეგრაციული მოლაპარაკებები და სხვა, რომელიც განეკუთვნება თეორიულ კომპონენტს და სწორედ ეს იყო დაწესბეულების მიზანი სასწავლო კურსის შედგენისას, რომ თეორიული/აკადემიური სამეცნიერო და პრაქტიკული კომპონენტი ყოფილიყო დაბალანსებული. შემდეგი საკითხი ეხება სასწავლო კურსს „დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი“, რომელიც არჩევითი, ძალიან მნიშვნელოვანი სასწავლო კურსია მომავალი პროფესიონალებისათვის, არის ასეთი ჩანაწერი: „იყენებს ერთ-ერთ სავალდებულო ლიტერატურად Post Emily-ს წიგნს გამოცემულს 1922 წელს. მართალია, ხდება მისი ხელახალი

გამოქვეყნება, მაგრამ წიგნის შინაარსი რთული გამოსაყენებელია დიპლომატიური აქტივობისა და მოღვაწეობისათვის, რადგან ის ეხება რიგითი ადამიანების ყოფითცხოვრებისეულ მოვლენებს“ და წიგნი, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი უთითებს არის წყარო ეტიკეტის შესახებ, ეს არის სახელმძღვანელო, რომელიც მოცავს მოლაპარაკებების ფორმებს, ქცევის წესებს ოფიციალუ მიღებებზე, სადილის ეტიკეტს, პოლიტიკური დიალოგები და სხვა, აღნიშნული სახელმძღვანელოთი სარგებლობს ბევრი პროგრამის აღნიშნული სასწავლო კურსი, აშშ-შიც კი მიღებულია ლიტერატურად არა მხოლოდ უნივერსიტეტში, არამედ სპეციალიზებულ დაწესებულებებშიც. სასწავლო კურსის „ევროპის პარტიათა პოლიტიკა“ შესახებ ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ „სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია: „ევროკავშირის დამხმარე სახელმძღვანელო“: ალექსანდრე დევიძე, გიორგი მირიანაშვილი (განიხილავს სამართლის თემებს); „პრაქტიკული რჩევები ევროკავშირთან საქმიანობის საწარმოებლად“: იოსებ ნანობაშვილი (უფრო პოპულარული საკითხავია, ვიდრე აკადემიური ლიტერატურა)“, აღნიშნული სასწავლო კურსი არის პირველი მსგავსი შინაარსის სასწავლო კურსი და თვითონ ეს დისციპლინა აკადემიური კვლევის საქართველოში არის ახალი, ევროპის პარტიათა პოლიტიკაზე თუ რომელი პარტია რა დონეზეა ევროპაში, კვლევები არ მიმდინარეობს ამიტომ ეს არის ერთი მხრივ ახალი სასწავლო კურსი, მეორე მხრივ ახალი კვლევით მიმართულება, მაგრამ დაწესებულებამ არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია, რადგან დევიძის წიგნში განხილულია ევროკავშირის საბჭო, ევრო კომისია და ა.შ. ძირითადი ინსტიტუტები, რომლებზეც დგას ევროკავშირი, მეგრელიშვილის სახელმძღვანელო შეტანილია იმდენად, რამდენადაც ის მოიცავს პოლიტიკურ იდეოლოგიებსა და პლიტიკურ პარტიებს, ძირითად მიმართულებებს, ეს თემები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კვლევითი მიმართულება არის ახალი და პროფესორი, რომელიც ახორციელებს სასწავლო კურსს, სტუდენტებს ყოველ ლექციაზე სთავაზობს ე.წ. „რიდერს“, საკითხავ მასალას, რომელსაც თვითონ ადგენს და აკეთებს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, მას შემდეგ, რაც აღნიშნული სალექციო კურსი დასრულდება პროფესორის მიზანია აკინძოს რიდერები, დახვეწოს და გადააქციოს სახელმძღვანელოდ, რათა მომავალში არსებობდეს ერთიანი, კონსოლიდირებული სახელმძღვანელო აღნიშნული სასწავლო კურსის შესასწავლად. ექსპერტების მოსაზრებით, სასწავლო კურსს „საერთაშორისო უსაფრთხოება“ უნდა შეეცვალოს სახელი და დაერქვას „საერთაშორისო პლიტიკა“, რასაც ასევე არ იზიარებს დაწესებულება, რადგან აღნიშნულის არგუმენტად დაწესებულებას მოჰყავს, რომ „საერთაშორისო უსაფრთხოების, როგორც პოლიტიკის მეცნიერებების ახალი დარგის განვითარების სპეციფიკა, დარგის ინტერდისციპლინარულობა, უსაფრთხოების სამხედრო და არასამხედრო ასპექტები და სხვ.“, მისი მოსაზრებით, თემატიკაში არის ისეთი საკითხები, როგორიცაა მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა სამხედრო ბალანსი, ძალის გმაოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის, ბირთვული იარაღი, უსაფრთხოების პრობელემები ახლო აღმოსავლეთში და სხვა, რომლებიც ცხადად განეკუთვნება საერთაშორისო უსაფრთხოების განზომილებას. საერთაშორისო უსაფრთხოება შედგება 4 დონისგან: პოლიტიკური, სტრატეგიული, ტაქტიკური და საოპერაციო დონეები, საოპერაციო და ტაქტიკურ დონეებს სტუდენტებს ვერ ასწავლიან, ასწავლიან მხოლოდ პოლიტიკურ და სტრატეგიულ დონეებს. საერთაშორისო პოლიტიკას ეს საგანი თავის თავში მოიცავს, რადგან სწორედ პოლიტიკური და სტრატეგიული დონის სწავლებაა დაწესებულების მიზანი. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სასურველია სასწავლო კურსს, რომელსაც ჰქვია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, კონცეფციები, დისკუსიები, პრერეკვიზიტად დაემატოს ახალი სასწავლი კურსი „შესავალი საერთაშორისო ურთერთობების თეორიები, კონცეფციები და დისკუსიები“ მოიცავს ისეთ ზოგად, შესავალ კურსებსაც, როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობის საწყისი პრობლემები, თეორიის ადგილი საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში, საერთაშორისო ურთიერთობების კლასიფიკაციის მაგალითები, დიდი დებატები, რეალიზმი, ლიბერალიზმი და სხვა, ძირითადი თეორიები, მისთვის გაუგებარია, თუ რატომ არის დამატებითი კურსის შექმნა მიზანშეწონილი, როდესაც ეს კურსი ისედაც მოიცავს აღნიშნულ შესავალ

კომპონენტებსაც. დაწესებულებამ ასევე გაიზიარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რიგი რეკომენდაციები.
უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, რამაზ კუკულაძემ, განაცხადა, რომ კორონავირუსის პანდემიამდე მდგომარეობა როგორიც იყო და რასაც აკეთებდნენ, ბუნებრივია პანდემიის დროს ვეღარ ახორციელებდნენ, რადგან ფიზიკურად შეუძლებელი იყო და როდესაც გაიხსნა საზღვრები მაშინვე დაიწყეს განხორციელება. ის მოსაზრება, რომ ეს მომავალია გასაგებია, მაგრამ წარსული ფიზიკურად არ ჰქონდათ, თუმცა, როდესაც ჰქონდათ შედეგი იყო 25%, რომელიც ცუდი მაჩვენებელი არ არის.
ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორმა, ნათია ვაჭარაძემ, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგის ჩატარებასთან დაკავშირებით, რათა უფრო ნათელი იყოს სწავლის შედეგების მიღწევის მექნიზმები განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართულია 42 აკადემიური პერსონალი და ექსპერტთა ჯგუფი აპელირებას აკეთებს ინტერვიუირებაზე, ეს იყო 6 პირი და შესაბამისად სწავლის შედეგებში მონაწილეობს მხოლოდ ძირითადი სასწავლო კურსის კომპონენტი, ანუ, რომელებიც პასუხს აგებენ სწავლის შედეგების მიღწევაზე, რაც შეეხება არჩევით სასწავლო კურსებს, ისინი არ მონაწილეობენ პროგრამის სწავლის შედეგებში და შესაძლებელია ამითაც ყოფილიყო გამოწვეული, რომ კონკრეტიული სილაბუსის ბმა არ მომხდარიყო კონკრეტულ სწავლის შედეგთან. თუმცა ამ სახის რეკომენდაციებზე გაყოლისას რჩება შთაბეჭდილება, რომ სამივე რეკომენდაცია (1.2, 2.5 და 5.1 კომპონენტში არსებული) აკუმულირებულია ორ რეკომენდაციაში, სადაც თავმოყრილია, რომ შესაბამისი ძალიასხმევა გააძლიერონ სილაბუსის შექმნის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, პროგრამის სწავლის შედეგებთან, კურიკულუმთან დაკავშირებით, სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, ეს არის ერთი სურათი და მისგან ფრაგმენტირება არ არის სწორი და არ ახორციელებენ ამ მიდგომას, რადგან მიაჩნიათ, რომ სასტარტო პირობაში, როდესაც ხდება პროგრამის შემუშავება, თუ გადამუშავება პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს უნდა ჰქონდეს გლობალური ხედვა იმისა, თუ რატომ კეთდება პროგრამა, რა სწავლის შედეგზე გადის და როგორია მისი შესაბამისობა კვლაიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოსთან, ეს არის პირველი ამოსავალი და შემდეგ ხდება ამ შედეგებისთვის სილაბუსების შემუშავება, რაც არგუმენტირებულ პოზიციაში ძალიან ნათლად აღწერეს და აღარ გაიმეორებენ, რომ მათი უნივერსიტეტის მიერ არის შემუშავებული დოკუმენტი პროგრამის სწავლის შედეგების მეთოდოლოგია, რომელიც დაყრდნობილია საერთაშორისო გამოცდილებაზე, ეს არის დოკუმენტი, რომელიც იძლევა სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიმართულებით მითითებებს, გამომდინარე აქედან ისიც საჯარო და ხელმისაწვდომია, როგორც ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პროგრამის შემუშავების პროცესს, შესაბამისად განმავითარებელი ჯგუფის მუშაობაც არის ორგანიზებული, მასში ჩართულია ყველა ის პირი, რომელიც ასე თუ ისე ახორციელებს პროგრამის კომპონენტის შემდგომ განვითარებას და პერსონალზე, რომლებზეც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მოსაზრება, ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გზადაგზა შემოუერთდა პროგრამის შემუშავების პროცესს და მიმდინარეობდა 8-10 თვე, პროგრამა გადამუშავდა შინაარსობრივ კონტექსტში, გამომდინარე აქედან ამ ნაწილში დინამიური პროცესია და მუდმივად უნდა ხდებოდეს პროფესიული განვითარება აკადემიური/მოწვეული პერსონალისა, თუმცა სტანდარტის შეფასების ნაწილში მეთოდოლოგიური მხარე, როდესაც ექსპერტთა ჯგუფი წერს პირველი სტანდარტის დაკმაყოფილების წინაპირობად იმას, რომ სწავლის შედეგებისათვის ჰქონდეს სატრენინგო მოდული და ის, რაც დაწესებულების პრეზიდენტმა ახსენა, ინტერნაციონალიზაციისათვის ძალისხმევის გაძლიერება ეს არ არის პირველი სტანდარტის დაკმაყოფილების წინაპირობა და კომპონენტის დაკმაყოფილებისკენ არის მიმართული, რომელიც შემდგომ გავლენას ახდენს სტანდარტის დაკმაყოფილებაზე, მისი სურვილია საბჭომ გაიზიაროს დაწესბულების მოსაზრებები ამ ნაწილში, ეს შეიძლება იყოს პერსონალის ნაწილში, მაგრამ მისი ადგილი არ არის პირველ სტანდარტში. მიღების წინაპირობის შესახებ განაცხადა, რომ B2 დონე ვერ დადგინდა მიღების წინაპირობად, რადგან საქართველოს ერთიანი ეროვნული გამოცდების

ტესტი B1 დონისაა და როდესაც გამოცხადებას დააპირებენ გათვალისწინებულია, რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი იყოს აწეული 20%-მდე. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია გადაგზავნილ იქნა უკლებლივ, მონაცემთა გაცვლა ხდება ცენტრის თანამშრომლის გავლით, შესაბამისად მოთხოვნა გახლდათ მეილის სახით, მათ მიიღეს მეილი, რომ დაწესებულებას წარედგინა სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომის დასახელება, შეფასება და წელი, რომელი მონაცემიც გადასცეს, საბაკალავრო ნაშრომები კი მოთხოვნილი არ იყო. 2017 წლის ნაშრომების შესახებ კი განმარტა, რომ გადაგზავნილი იყო სამ გვერდიანი დოკუმენტი, რომელშიც 2021 წლის დაცული ნაშრომებიც არის მოცემული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორს, ნათია ვაჭარაძეს, რომ ყურადღებით უსმენდა, მაგრამ სურდა დაზუსტება დოკუმენდაცია გააგზავნეს თავიდანვე თუ მოთხოვნის შემდეგ.

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორმა, ნათია ვაჭარაძემ განაცხადა, რომ გააგზავნეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნის შემდეგ, მოსთხოვეს ჩამონათვალი და გააგზავნეს საკმაოდ დიდი დოკუმენტი.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა, ქეთევან ცხადაძემ, განაცხადა, რომ 4.1 კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფს შეფასებული აქვს, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რეკომენდაცია კი მდგომარეობს შემდეგში: „რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელების ჯგუფი გაძლიერდეს ახალი პერსონალის დამატებით, რომლის სამუშაო გამოცდილება და/ან კვლევითი ინტერესები ბოლო 5 წლის მანძილზე დაკავშირებული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების დარგთან“, 4.1 კომპონენტის ნორმატიული შინაარსი კითხვაზე თუ ვინ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი, პასუხობს, რომ ეს უნდა იყოს ადამიანი/ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც აქვს აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, ერთ-ერთ მათგანს სადოქტორო დისეტრაცია დაცული აქვს ჰუმბოლტის უნივერსიტეტში, საერთაშორისო უსაფრთხოების სამართლის მიმართულებით, ხოლო მეორე თანახელმძღვანელი არის სოციალური მეცნიერებათა დოქტორი, მრავალწლაინი გამოცდილებით როგორც აკადემიური, ასევე კვლევითი მიმართულებით. შესაძლოა სამართლის სპეციალისტს არ აქვს შესაბამისი ცოდნა, რომელიც წარუძღვება ამ პროგრამას და კვალიფიციურად შეძლებს, როგორც პროგრამის შემუშავებას, ასევე შემდგომ განხორციელებაში მონაწილეობას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ ვინ იყო პროგრამის მეორე ხელმძღვანელი.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა, ქეთევან ცხადაძემ, განაცხადა, რომ ეს არის მარინა იზორია.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში მეორე ხელმძღვანელი არ არის ნახსენები.

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორმა, ნათია ვაჭარაძემ, განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელები მითითებულია დოკუმენტებში. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფმაც აღნიშნა მარინა იზორიას გამოქვეყნებებისა და კომპეტენციის ფარგლებში.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანის, ქეთევან ცხადაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია სადოქტორო ხარისხი სოციალურ მეცნიერებათა განხრით, მას ასევე აქვს გამოცდილება პრაქტიკული კომპონენტისა და კვლევის ნაწილში, იმ მიმართულებით, რომელიც ადასტურებს, რომ მას საერთაშორისო ურთიერთობებში შესწევს უნარი და აქვს კვალიფიკააცია ამ კუთხით, ამავე დროს მას აქვს პროგრამის შემუშავებაში საკმაოდ წარმატებული გამოცდილება, ამავე უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების პროგრამა“, რომელი პროგრამის თანახელმძღვანელიც არის მეოთხე წელია, და გამოცდილია ამ მხრივ, შესაბამისად დეკანი არ ფიქრობს, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით უნდა იყოს პროგრამის ხელმძღვანელი. გუნდი შედგება სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის და საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტისგან, რომელთაც აქვთ მრავლაწლიანი გამოცდილება

საერთაშორისო ურთიერთობების კომპონენტში. ერთ-ერთი მათგანი 2015 წლიდან არის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მკვლევარი და 2016 წლიდან პრეზიდენტის მრჩეველი, რომელიც მონაწილეობდა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით, თავისთავად პრაქტიკული კომპონენტიც, კვალიფიკაციაც, პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობაც სახეზეა თანახელმძღვანელთან ერთად, რომელსაც ექსპერტებიც აღნიშნავენ დასკვნაში. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ექსპერტთა მიერ მარკეტინგული ხედვის შეფასებას, რეკომენდაციის სახე ალბათ ვერ მიეცემა, რადგან ეს არის საუნივერსიტეტო ხედვა/პოლიტიკა თუ როგორ მარკეტინგულ ხედვას წაროადგენს დაწესებულება, გაამლიერებს რაღაც კუთხით თუ პირიქით, ამ მხრივ დაწესებულებას საკმაოდ ამბიციური გეგმა აქვს მარკეტინგის თვალსაზრისით, არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების, არამედ ყველა პროგრამის მიმართ.
უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, რამაზ კუკულაძემ, განაცხადა რომ უნივერსიტეტს აქვს მარკეტინგის დეპარტამენტი, რომელიც უყურებს რამდენიმე პარამეტრს: (1) სტუდენტების მიღების დინამიკა, რომელიც გასული წლების მონაცემებით არის მზარდი; (2) მობილობა, მობილობის ბალანსი არის დადებითი, ანუ უფრო მეტი გადმოდის დაწესებულებაში, ვიდრე გადადის; სტატუსის შეჩერება, ისევე როგორც მისი აღდგენა, დაწესებულება მუდმივად აკეთებს აღნიშნული მონაცემის ანალიზს, სტატუსის შეჩერების ძირითადი მიზეზებია აკადემიური მოსწრება, სოციალური მდგომარეობა, ეს არის ძალიან დინამიური პროცესი, რასაც უყურებს დაწესებულების კონკრეტული სამსახური, რომელსაც ამ მიმართულებით აქვს დავალება, რომ იმუშავოს სტუდენტებთან, რათა გაიგონ რეალური მიზეზები და მოიყვანონ, დააბრუნონ უნივერსიტეტში. რაც შეეხება სოციალურ აქტივობას დაწესებულებას ძალიან დიდი გუნდი ჰყავს, როგორც დაწესებულებას აქვს ახალი სახელი და მიმდინარეობს რებრენდინგი, სოცალური მედიის ყველა არხი არის დატვირთული, დაწესბეულების ინტერესია, რომ მოიყვანონ მეტი სტუდენტი, მაგრამ რასაც ახორციელებენ, ეს არის სკოლებთან ურთიერთობა თუ სხვა, აქამდე Outsource-ზე ჰყავდათ ჯგუფი, კონკრეტული კომპანია, რომელიც ამით იყო დაკავებული, მაგრამ ახლა ჰყავთ შიდა გუნდი, მათ აქვთ ფართო პროგრამა, თუ როგორ მოიყვანონ არამარტო ამ პროგრამაზე, არამედ მთელ უნივერსიტეტში სტუდენტები, ეს არის სკოლებთან ურთიერთობა, მათთან თანამსრომლობა, ახალი ინიციატივები და სხვა, რაც დაწესებულების ხედვაა და ნელ-ნელა გახდება ცნობილი, როდესაც გამოჩნდება ბაზარზე.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ ვინაიდან არ არის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ცალკეულ რეკომენდაციებზე არ გაამახვილებდა ყურადღებას, მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, სთხოვა დაეზუსტებინათ რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია. ტექნიკური ხარვეზის შესახებ აღნიშნა, რომ მართლაც არის რეკოემენდაციების დუბლირება, მაგ., აკადემიური წერის სილაბუსის დამატების შესახებ, რაც მოგვარდება, ასევე ტექნიკური ხარვეზია, რომ არის დუბლირება იმ ნაწილში, სადაც საუბარია აკადემიური პერსონალის ტრენინგებზე და იგივე საკითხი არის სხვა კომპონენტშიც. სამი რეკომენდაციის შესახებ საბჭოს წევრი უფრო დაწესებულების მხარეს იხრება, რადგან, მაგ., ინგლისური ენის B2 დონის სწავლებასთან დაკავშირებით, გაიზიარა მოსაზრება, რომ მიღების წინაპირობაში B2 დონის მოთხოვნა არ შეიძლება, რადგან აბიტურიენტი სკოლიდან B1 დონით მიდის, გარდა ამისა პროგრამას აქვს გაძლიერებული ინგლისური ენა, არის 4 ძირითადი და 2 დარგობრივი ინგლისური ენა, რომელიც სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკს წარმოადგენს, რაც ნიშნავს, რომ ბაკალავრიატის სტუდენტი, დაახლოებით, მესამე კურსზე B2 დონეზე გადის სწავლის შედეგზე და მას შეუძლია დაძლიოს ინგლისურენოვანი კურსები, რომლებიც შეთავაზებულია ბოლო სემესტრებში, გარდა ამისა ძალიან კარგია, რომ ასევე შეთავაზებულია: ჩინური, ფრანგული, რუსული - არჩევითი მოდულის სახით, რადგან საერთაშორისო ურთიერთობებში ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ინგლისურის კომპონენტი ძალიან ძლიერად/მსუყედ არის წარმოდგენილი. საბჭოს წევრი დანტერესდა, თუ რა მიზეზით

გაჩნდა აღნიშნული რეკომენდაცია, ეს არის აკადემიური წერის სლაბუსის დამატება, რადგან მან გადახედა „ზეპირი და წერითი კომუნიკაციის“ სილაბუსს და როგორც ლიტერატურის შეთავაზების თვალსაზრისით აქ არის უნბერტო ეკოს ლიტერატურა, გოჩიტაშვილის აკადემიური წერა და სხვადასხვა მეტყველების საფუძვლები და ა.შ. კომუნიკაციაზეც არის საკითხები, მაგრამ აკადემიური წერის საკითხებსაც საკმაოდ ფართოდ მიმოიხილავენ, რადგან არის ფუნქციური წერის ელემენტები, პლაგიატზე საუბარი და სხვა, შესაძლებელია საუბარი იყოს სათაურზე და უფრო მეტი დრო დაეთმოს აკადემიურ წერას, მაგრამ საკმარისად არის წარმოდგენილი აკადემიური წერა და იმპერატიულად ახალი საგნის შეთავაზება ზედმეტია. მისი თქმით მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეფასების სისტემის ნაწილში სილაბუსების უმეტესობაში არის ეს კომპონენტი, სადაც არამარტო შუალედურ შეფასებებსა და დასკვნის შეფასებას აქვს მინიმალური ზღვარი, არამედ შიდა შეფასებებსაც, პრეზენტაცის, რეფერატსა და ა.შ. ასევე დაინტერესდა თუ რამ გააჩინა აღნიშნული რეკომენდაცია, თუ ასეთი სახის ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, აღნიშნა, რომ მისი ერთი კითხვა ენის კომპეტენციასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა უკვე დასვა, რადგან, როგორც ცნობილია საბაკალავრო სწავლებაზე არ არის B2 დონის მოთხოვნა, თუ არსებობს რაიმე პირობა, მაგ., სილაბუსებში არსებული ლიტერატურა, რაც შეუძლებელს გახდის B2 დონის გარშე სწავლას ეს სხვა საკითხია და მოისმენდა ექსპერტთა ჯგუფისგან თუ რამ განაპირობა აღნიშნული რეკომენდაციის არსებობა, რადგან თვითონ სტანდარტი არ ითხოვს და შესაძლებელია რჩევად გაწერა, რეკომენდაციად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო წარმოდგენილი, თუ სტუდენტი რომელიმე საგანს ვერ შეისწავლის B2 დონის ცოდნის გარეშე. ასევე დაინტერესდა 4.1 კომპონენტთან მიმართებით, პროგრამის ხელმძღვანელებთან დაკავშირებით, რადგან გადახედა ზოგადად გუნდსაც და არ დარჩა შთაბეჭდილება, რომ მთლიანად განმახორციელებელ გუნდს რაიმე პრობლემა ჰქონდეს, რადგან საკმაოდ მაღალკვალიფიციური/ნაცნობი პირები არიან, მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ სად ხედავენ კონკრეტულ პრობლემას პროგრამის ხელმძღვანელებთან/გუნდთან დაკავშირებით, რადგან განიხილება საბაკალავრო პროგრამა, თუკი ეს იქნებოდა სადოქტორო, კვლევები უფრო საჭირო იქნებოდა და ა.შ., აქაც მნიშვნელოვანია, მაგრამ პრაქტიკული გამოცდილება უფრო წონადია. მარკეტინგთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ შესაძლებელია დაწესებულებას მოსთხოვონ მოიკვლიოს გადინება, რატომ ხდება, თუნდაც სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ რამდენად შეიძლება რეკომენდაციად მიიჩნიონ კონკრეტული მარკეტინგის შექმნა - გაუგებარია, შესაძლებელია მიეცეს რჩევად, თუმცა ავტორიზაციის დროს უფრო მეტად დასაშვებია ამ საკითხზე საუბარი, აკრედიტაციის დროს განიხილება კონკრეტული პროგრამა და რამდენად ჯდება დაწესებულებისგან კონკრეტული მარკეტინგული სტრატეგიის მოთხოვნა.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, განაცხადა, რომ საბჭოს წევრმა ნაწილობრივ დაფარა მისი კითხვა, მაგრამ სურდა ხაზი გაესვა „ზეპირი და წერითი კომუნიკაციის“ სილაბუსთან დაკავშირებით საკითზე, დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, თუ რამდენად არ ფარავს აკადემიურ წერას. მან დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩია, რომ რეცენზირებისთვის ერთი კვირის დათმობა საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის საჭირო არ არის. მისთვის გაუგებარია დაწესებულება იზიარებს თუ არა რეკომენდაციას კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, თუმცა სწავლის შედეგებში უწერიათ, რომ წყაროების ანალიზის საფუძველზე სტუდენტს უნდა ჰქონდეს დასკვნის გამოტანის უნარი, რაც საჭიროებს კვლევის მეთოდების კურსის არსებობას სავალდებულო სახით, დაინტერესდა თუ როგორ აპირებდა დაწესებულება ამ შედეგზე გასვლას კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის გარეშე. მან ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ხარისხობრივი კვლევა ჩაენაცვლებინათ თვისობრივი კვლევის მეთოდებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, მან განაცხადა, რომ მარკეტინგული სტრატეგიის ფორმირების შემუშავების შესახებ, შესაძლებელია

დაწესებულებამ არ შეასრულოს და განაგრძოს მუშაობა ისე, როგორც აქამდე მუშაობდა, შეუშლის თუ არა ხელს სწავლის შედეგების მიღწევას. ძალიან საინტერესოდ არის ფორმულირებული ერთ-ერთი რჩევა - „სილაბუსებში სტანდარტულად არის მითითებული მხოლოდ სწავლების ორი მეთოდი: ლექცია და ჯგუფში მუშაობა (classwork); სასურველია გასწორდეს და დაემატოს სწავლების სხვა მეთოდებიც, რომელსაც ლექტორები იყენებენ“, დაინტერესდა გასაუბრების დროს გამოჩნდა თუ არა, რომ ლექტორები ბევრ აქტივობას იყენებენ და სილაბუსებში არ არის მითითებული, თუ რა იყო აღნიშნული რჩევის საფუძველი, და უნდა იყოს ეს რჩევა თუ რეკომენდაცია, რადგან პროგრამაში ძალიან ბევრი მეთოდია ჩამოწერილი. ასევე, ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა ესაუბრათ სწავლებისა და შეფასების მეთოდების რელევანტურობაზე, რადგან თუ მხოლოდ ორი მეთოდია მითითებული და კომპეტენციები ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში უნდა იქნას მიღწეული/განვითარებული, სხვა ტიპის ინტერაქტიულ მეთოდებსაც უნდა ითვალისწინებდეს. მან განაცხადა, რომ „ეკონომიკური პრინციპები“, რომელიც თავის მხრივ პრერეკვიზიტია სასწავლო კურსი „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“, საინტერესო სილაბუსია, სტანდარტული მიდგომაა გამოყენებული, თუმცა სილაბუსში დაწესებულებამ სცადა გაეერთიანებინა მიკრო და მაკრო ეკონომიკის პრინციპები, გამოხშირულია თემები, მაგრამ მოიცავს 4 კრედიტს, დაინტერესდა თუ რამდენად შესაძლებელია საათების ამ რაოდენობით მენქიუს სახელმძღვანელოს ფარგლებში ჩატეული მასალის გავლა და რამდენად საკმარისია, მაშინ, როდესაც „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისთვის“ 5 კრედიტია განსაზღვრული.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ მას სურდა დაეზუსტებინა 2 საკითხი, მისი თქმით 4.1 კომპონენტში გაკეთებული რეკომენდაციები, პროგრამის საფეხურის გათვალისწინებით და შეფასება, „დასჯის სიმკაცრე აღემატება ჩადენილ დანაშაულს“ ამიტომ ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა ესაუბრათ თუ რატომ ჩათვალეს, რომ საბაკალავრო პროგრამაში უნდა გაწერილიყო აღნიშნული რეკომენდაციები. მან გაიზიარა საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის მიერ გაჟღერებული საკითხი მიკრო და მაკრო ეკონომიკის გაერთიანების მცდელობის შესახებ, ზოგადად მენქიუს კითხულობენ ორი სემესტრის განმავლობაში და არ ჰყოფნით დრო, თუმცა შესაძლებელია ითქვას, რომ ამოღებულია მნიშვნელოვანი ნაწილები, დაწესებულება საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტს ამზადებს ეკონომიკაში ასეთი მწირი ცოდნით, დაინტერესდა, ხომ არ განიხილავდნენ შესაძლებლობას არჩევით ბლოკში შეეთავაზებინათ ისეთი დისციპლინები, როგორებიცაა ეკონომიკური უსაფრთხოება, რეგიონალური ეკონომიკური სავაჭრო ბლოკები, ეკონომიკური ინტეგრაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გლობალიზაცია და ეკონომიკა და სხვა, აღნიშნა, რომ მან ჩამოთვალა ყველაზე მეტად გავრცელებული სასწავლო კურსების სათაურები, დასავლეთ ევროპაში, ამერიკაში, ეს ყველაფერი გასაგებია, რომ ისწავლება ეკონომიკაზე, ისწავლება საერთაშორისო ურთიერთობებზე და სხვა, რადგან საერთაშორისო ურთიერთობების უმეტესი წილი გადავიდა ეკონომიკაზე, ამაზე იწერება ნაშრომები, აქედან გამომდინარე, მისი მოსაზრებით ეს აკლია პროგრამას, თუმცა ეა არ არისარავითარი ჩარევა პროგრამის არქიტექტურაში, იქნებ გაითვალისწინოს დაწესებულებამ არჩევით სასწავლო კურსებად.

ინგლისური ენის B2 დონესთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ნინო ფავლენიშვილის, განცხადებით რეკომენდაციაში წერია B2 დონე ან, რაც გულისხმობს იმას, რომ მართალია B2 დონეს არ ითხოვს სტანდარტი, მაგრამ შეთავაზებული იყო, რადგან განახლებულ პროგრამაში დამატებულია 3 ან 4 სასწავლო კურსი, აქედან ყველა მათგანი იკითხება ინგლისურად, მართალია არჩევითია, მაგრამ სავარაუდოდ სტუდენტებს მოუწევთ მათი არჩევა, პროგრამა აპელირებს იმაზე, რომ ბაზრის შესწავლის/დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად გაითვალისიწინეს მათი მოთხოვნა ინგლისური ენის ცოდნის შესახებ, ამიტომ იყო შეთავაზებული, თუმცა თუ საბჭო თვლის, რომ B2 დონე .ძალიან რთული კონსტრუქციისაა, შესაძლებელია მოეხსნას და დარჩეს რეკომენდაციის მეორე ნაწილი, ანუ პროგრამამ უნდა შესთავაზოს ინგლისური ენის შეფასების გამოცდა, რომლის შედეგადაც

დადგინდება სტუდენტები რა დონეზე ფლობენ ინგლისურს, რათა დადგინდეს შეძლებენ თუ არა იმ საგნების არჩევას, რომლებიც რეალურად ქართულ ენაზე მიმდინარეობს, მაგრამ ინგლისურენოვან საკითხავ მასალას სთავაზობს, სტუდენტებთან და კურსდამთავებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ენა სერიოზული პრობლემაა, მისი მოსაზრებით რეკომენდაცია ენის ფლობის შესახებ მნიშვნელოვანია. აკადემიური წერისა და „ზეპირი და წერითი კომუნიკაციის“ შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა აღწერა სტანდარტის შეფასებისას, რომ კურსი ასწავლის მთელ რიგ კომპონენტს აკადემიური წერის თვალისაზრისით, მაგრამ პროგრამის შედეგებზე გასვლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომელიც სავალდებულოა და რომელიც სტუდენტმა უნდა შეარულოს, მიუხედავად იმისა რომ საბაკალავრო ნაშრომია, სტუდენტს უნდა ჰქონდეს სულ მცირე ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის უნარები, რათა შეძლოს შედეგზე გასვლა, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთ კურსში არ მოხდეს ზეპირის/წერის გაერთიანება. აკადემიური წერის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი არის ის, რომ სტუდენტი მოამზადოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისთვის, იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი ასრულებს საბაკალავრო ნაშრომს უნდა შესთავაზონ სამი რამ: აკადემიური წერა, კომპონენტში კვლევის დიზაინი ან აკადემიური წერა კვლევის მეთოდებთან. მისი მარტივი ხედვა იყო ის, რომ თუ არ დაემატება ახალი სასწავლო კურსი შესაძლებელია არსებულზე სახელის გადარქმევა, თუმცა ეს არ ყოფილა დუბლირება, იყო შეთავაზება, რომ გამხდარიყო აკადემიური წერა + კვლევის მეთოდები სავალდებულო დისციპლინა, ან აკადემიური წერა + კვლევის დიზაინი. მარკეტინგთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ სთავაზობს არანაირ მარკეტინგულ სტრატეგიას, რადგან ეს მათ კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ თვითშეფასების დოკუმენტში აღწერილია როგორია სტუდენტების მიღება წლების მიხედვით, არა იმიტომ რომ ფუნქციონირება შეძლოს პროგრამამ, არამედ იმიტომ, რომ არსებობდეს, რადგან ის სჭირდება სტუდენტებს, შესაბამისად მათი რეკომენდაციაც ეყრდნობა ამ მოსაზრებას, რომ პროგრამის ფუნქციონირებისათვის დაწესბულებამ შეიმუშაოს მარკეტინგული სტრატეგია, თუ რა იქნება ეს სტრატეგია პოპულარიზაციისთვის, აგრესიული, ნაკლებად აგრესიული თუ სხვა, ამ საკითხში ექსპერტთა ჯგუფი არ ჩარეულა, მაგრამ რეკომენდაცია ეხებოდა ამას. მისი მოსაზრებით სტუდენტების დაინტერესებისთვის აუცილებელია დაწესებულებას ჰქონდეს მარკეტინგი, ამ მიმართულებაში იმხელა კონკურენციაა დასაქმების ბაზარსა და საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტის მოპოვება ძალიან რთულია, სწორედ ამან განაპირობა მათი რეკომენდაცია. 4.1 კომპონენტში არსებული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ ამ საკითხზე ექსპერტი, გვანცა აბდალაძე, ისაუბრებდა უფრო ვრცლად, მაგრამ საბჭომ მოისმინა სილაბუსების დეტალური განხილვა, რადგან საბჭოს ფორმატი ეს არ არის, მისი რწმენით საბჭო გაეცნო როგორც დაწესებულების მიერ გაგზავნილ დოკუმეტაციას, ასევე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, მხოლოდ დასკვნაც კი საკმარისია იმისთვის, რომ მიხვდნენ რატომ იყო გაცემული რეკომენდაცია 4.1 კომპონენტში, ის რომ ევროპული პარტიული სისტემები ახალია და არ ისწავლება არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან არსებობს ქართულ ენაზე ნათარგმნი სახელმძღვანელო ევროპული დემოკრატიები, რაშიც პარტიულ სისტემებზეც იქნება საუბარი და ქართულ სამეცნიერო სივრცეში არა მხოლოდ პარტიული სისტემები ისწავლება, არამედ გამოიკვლევა შიდა პარტიული იერარქიაც. დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა „დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა“ ვერც აღნიშნულ საკითხში დაეთანხმა, რადგან დაწესბეულების მიერ ჩამოთვლილი საკითხებზე მიუთითა, რომ თეორიებია, რადგან ესენი არის სწორედ ის პრაქტიკული საკითხები, რომელსაც, სერიოზული, ინდუქციური კვლევით იკველვენ და თეორიებად ვერ ყალიბდება, ამიტომ არის დიპლომატია პარაქტიკული კურსი.

ექსპერტმა, გვანცა აბდალაძემ, განაცხადა, რომ არ შევიდოდა სილაბუსების თემატურ განხილვაში. საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის კითხვაზე მან უპასუხა, რომ, მაგ., როგორც კი საბჭოს წევრმა გახსნა თავისი დარგის სილაბუსი გაუჩნდა გარკვეული აზრი. ექსპერტთა ჯგუფის, როგორც დარგის სპეციალისტების შეხედულება სილაბუსების შინაარსებზე, შემდეგნაირია, მაგ., როდესაც საუბარია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებზე ის

იწავლება პატარაიას წიგნით და რომ ჰკითხონ ნებისმიერ დარგის სპეციალისტს, ბაკალავრიატის საფეხურზე ახალმოსული სტუდენტი, დარგობრივ საგანს აღნიშნული სახელმძღვანელოთი ვერ შეისწავლის, რადგან ეს არის უფრო სამგისტრო საფეხურის, მაგრამ თუ საბაკალავრო საფეხურზე იქნება ჯერ უნდა იყოს შესავალი კურსი უფრო მარტივი სახელმძღვანელოებით და შემდეგ გადავლენ აღნიშნულ სახელმძღვანელოზე. ასეთ პრობლემები ბევრგან ფიქსირდება. რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ლემონჯავამაც ისაუბრა, 1922 წელს გამოცემული სახელმძღვანელო ძალიან საინტერესოა, მაგრამ საუბარია ბაკალავრიატზე, სადაც ისწავლება „ქართლის ცხოვრება“, მაგრამ უცხოელი სტუდენტი საქართველოს ისტორიას სავარუდოდ სხვა სახელმძღვანელოთი ისწავლის, ისმის კითხვა, აღნიშნული პროგრამა სილაბუსებთან მიმართებაში საბაკალავრო საფეხურის არის თუ სამაგისტრო, წყაროზე დაფუძნებით უნდა ისწავლებოდეს ერთი კონკრეტული საკითხი და კვლევა, მათ შორის ერთ-ერთმა ლექტორმა ახსენა, რომ ჰქონდა მიმდინარე კვლევა, რომელსაც აცნობდა სტუდენტებს და ჩართული ჰყავდა, სტუდენტებს აძლევენ საბაზისო ცოდნას, თუ ეს არის სამაგისტრო საფეხური, სადაც სისტემური და ჩაღრმავებული სწავლებაა. მითითებული ლიტერატურები შეესაბამება საბაზისო საფეხურს, თუ აკადემიურია, იგივე სამაგისტრო დონეზე სტატიებით და სხვა დოკუმენტებით ხდება სწავლება, მაგრამ საბაკალავრო საფეხურს სჭირდება სახელმძღვანელო. ასეთი პრობლემები/კითხვები ბევრი გაჩნდა. მან აღნიშნა, რომ სიამოვნებით ისმენს ხოლმე პროგრამის ხელმძღვანელის, გიორგი ლემონჯავას გამოსვლებს და აღნიშნა „nothing personal, just bussines“, სთხოვა არ მიეღო უპატივცემულობის გამოხატვად, ექსპერტთა ჯგუფს არ უთქვამს, რომ უნდა შეცვლილიყო ხელმძღვანელები, მათ თქვეს, რომ უნდა გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელები, ისეთი ადამიანით, რომელიც უკეთ ერკვევიან განათლების სპეციფიკაში, პროგრამის შექმნის სპეციფიკაში, საბაკალავრო/სამაგისტრო დონის სილაბუსების ლიტერატურის სხვაობის სპეციფიკაში და სხვა, პროგრამის ძალიან დიდი პლიუსია მისი პერსონალი, მაგრამ უმეტესობამ განაცხადა, რომ პირველად შედიოდა ლექციაზე. ზოგადად მისთვის უცნობია, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ რეაკრედიტაცია, შესაძლებელია მათთვის უფრო მომგებიანი იყოს ახალი პროგრამის შემოტანა და ბევრი ხარვეზი აღარ მოხვდებოდა დასკვნაში. რადგან შეხვედრის დროს სტუდენტებმა თქვეს, რომ საერთოდ არ გაუვლიათ არცერთ წიგნი, ლექტორები ძირითადად მათ მიერ გაკეთებულ ერთგვერდიან კონსპექტებს აძლევდნენ, ინგლისურს საერთოდ ვერ ფლობენ და ა.შ., სწორედ ამიტომ გაჩნდა აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან ექსპერტთა ჯგუფის მოვალეობაა დაწესებულებას ურჩიოს საკითხები პროგრამის გასავითარებლად, შესაბამისად საუბარია სხვადასხვა სახის ტრენიგის ჩატარებაზე, სილაბუსებთან მიმართებაში, თუკი გაძლეირებულად სურთ სწავლება, უნდა დაამატონ შესავალი კურსი, რომელიც საბაზისოა, მაგ., რონდელის წიგნით დაიწყებს და შემდეგ გადავლენ პატარაიაზე და ა.შ. ბარიერების შესახებ მისი გნაცხადებით, ძალიან კარგია, რომ ბარიერებთან დაკავშირებით არ არსებობს უნიფიცირებული მიდგომა და ლექტორს შეუძლია თავად დაარეგულიროს ეს საკითხი, მათ შორის შიდა კომპონენტებსაც აქვს გარკვეული ბარიერები. გაუგებარია ფინალურ გამოცდაზე დაშვების ბარიერი, ასევე თითოეულ კომპონენტს ჩააბარება/ვერ ჩააბარების საკითხი, თუ ვის უშვებენ გამოცდაზე და რამდენი ქულაა დაშვების წინაპირობა, რაც საბოლოო დათვლებშიც არის პრობლემა, გართულებული მექანიზმია, რაც სილაბუსებშია წარმოდგენილი. მისი თქმით ექსპერტთა ხედვა სწორედ ეს არის, რომ დაწესებულებას ბევრი პოზიტივი აქვს, დაწყებული კვალიფიციური კადრებიდან და ა.შ., თუ მოხდება სწორი მენეჯმენტი, იმისა თუ, როგორ მიაწოდოს საბაკალავროს, როგორ აქციოს სალექციო კურსად და კონრეტულ სტუდენტთან როგორ მიიტანოს ინფორმაცია აუდიტორიაში, აღნიშნული საკითხების სწორი მენეჯმენტი თუ მოხდება პროგრამა იქნება წარმატებული.

უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, რამაზ კუკულაძემ განაცხადა, რომ სრულად იზიარებს საბჭოს წევრის პოზიციას ეკონომიკასთან დაკავშირებით, რადგან დღევანდელ რეალობაში ეკონომიკის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ამ დარგის სპეციალისტი ვერ გამოვა, დაწესებულებამ წინა პროგრამასთან შედარებით უფრო გააძლიერა სალექციო კურსები, იმ ცოდნას, რასაც მიკრო და

მაკრო ეკონომიკის ცოდნა ჰქვია ვერცერთ სემესტრში ვერ მისცემენ, ამ სასწავლო კურსის მიზანი იყო წარმოდგენა შეექმნათ თითოეული მათგანის მიზნების შესახებ, მან გაიზიარა საბჭოს წევრის მოსაზრება არჩევით ნაწილში ეკონომიკის სათითაო მიმართულეებების სასწავლო კურსების დამატების შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ლემონჯავამ, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს, გამოთქმული რჩევის შესახებ, პროგრამის წარმომადგენლებს ადრეც უსაუბრიათ დაწესებულების პრეზიდენტთან ეკონომიკის კომპონენტთან დაკავშირებით, პირველ რიგში მათ სურთ საბაზისო ცოდნა ჰქონდეთ სტუდენტებს ეკონომიკაში, რადგან თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები წარმოუდგენელია ამის გარეშე, ასევე წარმოუდგენელია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გააზრება ელენემენტარული ეკონომიკური ცოდნის გარეშე, ამასთანავე მთელ რიგ საგნებში, მაგ., „საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში“, ასევე „შავი ზღვის თანამშრომლობა“, ამ საგნებში ჩაშენებულია ეკონომიკის „მსუყე პორციები“, რომლებიც ემსახურება სტუდენტებისთვის რეგიონალური სავაჭრო ურთიერთობების ცოდნის მიცემას, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთიერთობები ქვეყნის მდებარეობიდან გამომდინარე, თუმცა დაწესებულება გაიზიარებს საბჭოს წევრის მოსაზრებას, განსაკუთრებით არჩევით კომპონენტში ეკონომიკური ბლოკის გაძლიერებასთან დაკავშირებით. „დიპლომატიური პოლიტიკისა და ეტიკეტის“ სასწავლო კურსში 1922 წლის ლიტერატურის შესახებ განაცხადა, რომ სალაპარაკო თემა გახდა, თუ როგორ შეიძლება 1922 წელს გამოცემული წიგნით ასწავლონ, თუმცა თვითონაც კი აქტიურად იყენებს ედმუნდ ბერკის 1907 წლს გამოცემულ ტექსტს, როგორც კონსტიტუციის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სწავლებისას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ჯონ ლოკი და პლატონი უფრო ძველია, მაგრამ მაინც ასწავლიან.

ექსპერტმა დასძინა, რომ სამაგისტრო საფეხურზე შესაძლებელია წყაროებზე დაყრდნობით სწავლება.

პროგრამის ხელმძღვანელი დაინტერესდა ბერკი ან პლატონი რომ საბაკალვრო საფეხურზე ასწავლოს წარმოქმის თუ არა პრობლემას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ამასთანავე საჭიროა ახლის სწავლებაც, რადგან დიპლომატიურ ეტიკეტში ბევრი რამ შეიცვალა, ახალიც რომ ასწავლონ და წყაროც ეს უკვე აღარ იქნება საბაკალავრო საფეხური.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნულ სასწავლო კურსში ნახსენები ლიტერატურა არ იყო ერთადერთი, მათ შორის ძალიან თანამედროვე, მოდერნული ლიტერატურაცაა, ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და მისთვის გაუგებარია, თუ რატომ არის პრობლემა 1922 წელს გამოცემული ლიტერატურა, როდესაც მასთან ერთად ახალი ლიტერატურაც არის მოცემული. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფის ტექსტში მოცემულია შემდეგი შინაარსი, რომ პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფს საერთაშორისო ურთიერთოებების სფერო წარმოუდგენია, როგორც სერთაშორისო ეკონომიკის, ეკონომიკური ურთიერთობების საერთაშორისო უსაფრთხოების, საერთაშორისო პოლიტიკისა და სხვა სფეროების კომბინაცია, რომელთა მშრალი სინთეზიც არ მიიყვანს საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ეფექტიან სინთეზამდე, სინამდვილეში, ინტერვიურებისას დაწესებულებამ 40 წუთი დაუთმო იმაზე საუბარს თუ როგორ უდგებიან ამ სფეროს, რომ არ უყურებენ კონტექსტიდან ამოგდებულად, არამედ უყურებენ, როგორც ერთიანი, ჰოლისტური გააზრების სქემას, სტუდენტებს კი არ ასწავლიან უბრალოდ ეკონომიკას, უბრალოდ უსაფრთხოებას ან უბრალოდ პოლიტიკას, ასწავლიან თუ რა გავლენა აქვს საერთაშორისო ეკონომიკას უსაფრთხოებაზე, უსაფრთხოებას თავდაცვაზე, სამხედრო საკითხებს საერთაშორისო პოლიტიკაზე და ა.შ. ანუ ჰოლისტურ სტრატეგიულ კონტექსტში და მისი სურვილი იყო საბჭოს მიეღო მხედველობაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა, ქეთევან ცხადაძემ, კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია და დაადასტურეს მისი საჭიროება.

ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორმა, ნათია ვაჭარაძემ, მინიმალური კომპეტენციის ზღვრების შესახებ განაცხადა, რომ ნებისმიერ სილაბუსში დასკვნითი გამოცდის ველში ძალიან მკაფიოდ არის მითითებული თუ რა არის დასკვნით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, სავალდებულოა შუალედური გამოცდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის მიხედვით ზღვარი არის 31 ქულის მოპოვება ფინალურ გამოცდამდე, იმისათვის რომ სტუდენტმა შეძლოს 51 ქულის მოპოვება. მეთოდებისა და აქტივობების შესახებ, მან განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ის მიხედვით განათლების ტერმინოლოგიაში არის შეცდომა, მეთოდი მოიცავს, მხოლოდ სალექციო, პრაქტიკულ, სასემინარო აქტივობებს, ხოლო ის რასაც, ექსპერტთა ჯგუფი მეთოდებს უწოდებს არის აქტივობები, რომლებიც არათუ გამოყენებულია სილაბუსებში, არამედ თითოეული თემატიკის გასწვრივ არის ჩამოწერილი დამოკიდებულება აქტივობებისადმი, რაც საკმაოდ მრავალფეროვანია.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განაცხადა, რომ კითხვაზე ვერ მიიღო სრულყოფილი პასუხი. მისი კითხვა მოიცავსა 4.1 კომპონენტს, თუ რა იყო რეკომენდაციისს გაცემის საფუძველი.
ექსპერტმა, გვანცა აბდალაძემ, განაცხადა, რომ, რადგან პროგრამაში ბევრჯერ დაინახეს პრობლემა საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურების სილაბუსების შესახებ, ფრაგმენტულად არის ქვედარგები დაკავშირებული, არ ითვალისწინებს დარგის ზოგად პრინციპებს, არ არის დარგობრივი სტანდარტი, მაგრამ არსებობს გარკვეული ჩარჩოები, რადგან დაინახეს, რომ არის ასეთი პრობლემები კურიკულუმის გააზრებაში და პროგრამის ხელმძღვანელი ძალიან ბევრ საინტერესო საქმეს აკეთებს, მაგრამ უშუალოდ ამ მიმართულებით ნაკლები გამოცდილება აქვს, დიდი გამოცდილება აქვს საერთაშორისო სამართლის მიმართულებით და არა კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების მიმართულებით, აკადემიური ან სამეცნიერო სტატიები და ა.შ. ამიტომ საჭიროდ ჩათვალეს, რომ პროგრამას გააძლიერებს თუნდაც კოორდინატორის დამატება.
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა, ქეთევან ცხადაძემ, განაცხადა, რომ მას უჩნდება პერსონალიზაციის განცდა, რადგან მხოლოდ ერთ ხელმძღვანელზე საუბრობენ, არსებობს პროგრამის ხელმძღვანელი ჯგუფი, ეს ტანდემი ქმნის პროგრამას, ექსპერტთა ჯგუფს დასკვნაში უწერია, რომ დაემატოს ახალი ხელმღღვანელი, თუმცა მთელი სხდომის განმავლობაში ექსპერტის შეფასებას გასდევს პერსონალური დამოკიდებულება, რაც ძალიან სამწუხაროა. როდესაც ზოგადად საუბრობენ კურიკულუმზე, სასწავლო გეგმაზე და ა.შ. სთხოვა ესაუბრა კონკრეტულ შემთხვევაზე და არ შემოფარგლულიყო მხოლოდ ზოგადი ფრაზებით და შეახსენა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უნდა იყოს არგუმენტირებული, რადგან ამით ხელმძღვანელობს საბჭო.
ექსპერტმა, გვანცა აბდალაძემ, განაცხადა, რომ პერსონალისგან განსხვავებით, რომელიც შეუძლია მოიხსენიოს, როგორც „პერსონალი“, ადამიანები სახელების/გვარების გარეშე, მოცემულ შემთხვევაში ხელმძღვანელი სულ ორია და შესაბამისად როდესაც ამობობენ ხელმძღვანელზე, ავტომატურად ყველასთვის ხდება ცნობილი თუ ვისზეა საუბარი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:**

**დაწყების დრო: 21:20**
**დასრულების დრო: 23:10**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.1 და 1.2 კომპონენტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და აღნიშნული კომპონენტის

ცვლილებამ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება, რომელიც ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.1 და 2.4 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება; 4.1 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება; 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ალტეს უნივერსიტეტის (თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის) „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**

**რეკომენდაციები:**
ა) პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის რეკომენდებულია, გახდეს სავალდებულო კვლევის მეთოდები;
ბ) რეკომენდირებულია დაზუსტდეს სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო უსაფრთხოება“ წინაპირობა ან მოხდეს სასწავლო კურსის მოდიფიკაცია სწავლების საფეხურის შესაბამისად;
გ) რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილება“ წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შესავალი კურსები, ინგლისური ენა (3 ან 4) და შესაბამისად, გადანაცვლდეს კურიკულუმში;
დ) სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში“ წინაპირობის გარეშეა წარმოდგენილი. რეკომენდებულია, წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში“;
ე) რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „საჯარო პოლიტიკის ანალიზი“ წინაპირობად განისაზღვროს „საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები“;
ვ) რეკომენდებულია, მოხდეს მემორანდუმების განახლება;
ზ) ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან;
თ) რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავებაში ჩართულობის გასაძლიერებლად და სასწავლო კურსების სილაბუსების შექმნაში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად;
ი) რეკომენდირებულია დაიგეგმოს ტრენინგები კურიკულუმის და სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიაში;
კ) რეკომენდირებულია ხარისხის სამსახურმა აამოქმედოს შიდა ხარისხის მექანიზმები.

**რჩევები:**

ა) პროგრემის მიზნების მიღწევისთვის სასურველია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სრულყოფა;

ბ) სასურველია პროგრამაში შეთავაზებული ინგლისურენოვანი სავალდებულო და არჩევითი კურსები ისწავლებოდეს მხოლოდ ბოლო მე-6 ნაწილის პროფესიული ინგლისური ენის სწავლების დასრულების შემდეგ, რომ სრულფასოვნად იყოს მიღწეული სწავლის შედეგები;

გ) სასურველია, კურიკულუმს დაემატოს შესავალი კურსი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ან გაძლიერდეს საბაზისო ცოდნა სხვადასხვა თეორიული სკოლების ძირითადი მახასიათებლებისა და დარგის ტერმონოლოგიის შესახებ;

დ) მიზანშეწონილია არჩევით ბლოკში დაემატოს სპეციალობის შესაბამისი ეკონომიკური პროფილის სასწავლო კურსები;

ე) პროგრამას დაემატოს სტაჟირების კომპონენტი (არჩევითი სტატუსით);

ვ) საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია მოხდეს შეფასების თითოეული კომპონენტის და განსაკუთრებით მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ნათლად ფორმულირება სასწავლო კურსის სილაბუსებში;

ზ) უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობისა და დასაქმების შესაძლებლობის გაფართოების მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების პროცესები;

თ) სასურველია მაქსიმალურად იქნას ათვისებული და გამოყენებული როგორც სტუდენტების, ასევე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა EMIS-ის მექანიზმი და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ერთიანი სისტემა;

ი) სასურველია პროგრამის წარმომადგენლებმა შეიმუშაონ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტების მეტად ჩართულობას პროგრამის თვითშეფასების, დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესებში;

კ) სასურველია სამომავლოდ პროგრამის წარმომადგენლების აქტიური ხელშეწყობით, გაიზარდოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და კვლევით პროექტებში საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლი;

ლ) სასურველია პოტენციურ დამსაქმებლების წრის გაფართოება;

მ) სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რომელიც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ანგარიშის სახით.

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ალეტს უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**4. მეოთხე საკითხი:** შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა Bachelor’s Program in Sociology |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | გადაწყვეტილება №762 11.12.2012 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მეექვსე |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | სოციოლოგიის ბაკალავრი, Bachelor of Sociology |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | სოციოლოგიის ბაკალავრი, 0314 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | პაატა სააკაძის ქ. №1, ქ. თბილისი, 0102, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- დიახ

თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე კი სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, იაგო კაჭკაჭიძვილმა, განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით, შესაფასებელი იყო ხუთი სტანდარტი, რომელთაგან პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**
1. აუცილებელია, რომ აღმოიფხვრას გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებს შორის: თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები (მე-13, მე-14 და მე-15 კვირები) და კლასიკური სოციოლოგიური თეორიები (1-ლი, მე-2 და მე-4 კვირები);
2. აუცილებელია, რომ თანამედროვე სოციოლოგიური თეორიებისა და გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიების კურსების სილაბუსები გამდიდრდეს შემდეგი თეორიებით: სინთეზური თეორია (პიერ ბურდიე), ქსელური საზოგადოების თეორიები (მანუელ კასტელსი), რისკის საზოგადოება (ულრიხ ბეკი), კონფლიქტის თეორიები (დარენდორფი, კოლინზი), ნეოფუნქციონალისტები (ალექსანდერი), ფენომენოლოგიური სოციოლოგია (შუტცი);
3. პროგრამის სავალდებულო კომპონენტის - კვლევითი პროექტის - მომზადებაში ჩაერთონ პროგრამაში მონაწილე სხვა პედაგოგებიც (განსაკუთრებით ისინი, ვინც სოციოლოგიური კვლევის მეთოდებისა და სტატისტიკის კურსებს უძღვებიან). ეს უზრუნველყოფს იმას, რომ პროგრამის ამ უმნიშვნელოვანესი კომპონენტის შესრულება არ იქცეს მხოლოდ ორი ადამიანის ტვირთად, რომლის ხარისხიანი ტარებაც თითქმის შეუძლებელია ორი ადამიანის დროითი და ინტელექტუალური რესურსების რაციონალური განაწილების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, თუ რეალურად ამ კურსის განხორციელებაში ჩართულები არიან სხვა პედაგოგებიც, ეს უნდა აისახოს სილაბუსში.
ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო არგუმენტირებული პოზიცია დაწესებულებისგან, რომლის მიხედვითაც დაწესებულება დაეთანხმა პირველ ორი რეკომენდაციას, გამოთქვა მზადყოფნა სილაბუსების გასამდიდრებლად და გადაფარვების მოსახსნელად. მესამე რეკომენდაციის შესახებ კი განმარტეს, რომ კვლევითი პროექტის მომზადებაში ჩართულია პროგრამის პერსონალი და არა მხოლოდ ორი ადამიანი, თუმცა ეს ყველაფერი არ ჩანდა წარმოდგენილ

დოკუმენტაციაში, არც გასაუბრების დროს არ თქმულა, თუმცა დაწერეს, რომ გაიზრდება სილაბუსის განმახორციელებელთა რაოდენობა, რაც, როგორც სასურველია ფაქტობრივი რეალობად აღიქმება დოკუმენტაციაში.

**საბჭოს სხდომა დატოვეს ნინო ინასარიძემ და ანა ფირცხალაშვილმა.**

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

პროგრამის ხელმძღვანელმა, ფლორა ესებუამ, განაცხადა, რომ უკვე დასრულებულია სილაბუსების გამართვის პროცესი, როგორც გადაფარვების, ასევე რეკომენდაციაში გაწერილი ავტორების გათვალისწინებით, უკვე განახლებულია. მესამე რეკომენდაციის შესახებ, მან განაცხადა, რომ როგორც ჩანს ვიზიტის დროს ვერ წარმოაჩინეს ის, რაც რეალურად გათვალისწინებულია მათ რესურსებში, ჰყავთ კვალიფიციური პერსონალი, რომელიც კვლევითი კომპონენტის აღსრულებაზე არიან ორიენტირებულნი და ისინი საჭირებისამებრ იქნებიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში, მათ შორის ამ კურსების იმპლემენტაციის პროცესში.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა, დავით ნატროშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მესამე რეკომენდაციას განიხილავს როგორც რჩევას, რადგან უჭირთ მათი გაზიარება რეკომენდაციის სახით, დაწესებულებას აქვს იმის ფაქტობრივი რესურსი, რომ სასწავლო კურსის განხორციელებაში ჩართონ საჭირო რესურსი/კადრები, თუმცა სილაბუსზე მითითებულნი არიან მისი ავტორები ფლორა ესებუა და თამარ ჩარკვიანი, თუმცა ყველა ის პროფესორი, რომელიც პრაქტიკულ/კვლევით კომპონენტებს უძღვება მოაზრებულია, რომ მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის განხორციელებაში, სტუდნეტების რაოდენობიდან/საჭიროებიდან გამომდინარე, რადგან ეს არის მეოთხე კურსზე, სადაც ამ ეტაპზე ირიცხება, მხოლოდ 25 სტუდენტი, რა რაოდენობის ლექტორებიც იქნება საჭირო, ჩაერთვებიან, შესაბამისად აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება მიიჩნევს რჩევად და სთხოვა საბჭოს აღნიშნული ამ კუთხით განეხილა.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ მის მიერ ნანახი დოკუმენტი, შრომის ბაზრის კვლევა ეს არის 2 გვრდ ნახევრიანი დოკუმენტი, რომელსაც რთულია დაერქვას კვლევა, შედეგები ან რეზიუმე, მან დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა ესაუბრათ აღნიშნულ საკითხზე, არის თუ არა კიდევ რამე რაც ვერ ნახა, ან როგორ არის მოწესრიგებული აღნიშნული საკითხი. არჩევითი კურსების შესახებ კი აღნიშნა, რომ არის „მართვის უნარები და ლიდერობა“, სადაც ჩამოწერილია უამრავი ლიტერატურა, მაგრამ წინ უნდა იყოს რაიმე მარტივი კურსი, ელემენტარული მენეჯმეტის საფუძვლები, რადგან პირდაპირ მართვის უნარები და ლიდერობა რთული დასაძლევია, იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო კურსზე „პროექტების დაგეგმვა და მართვა“, სტრატეგიული დაგეგმვა, თუნდაც, რომელსაც ისევ მენეჯმენტის საფუძვლები ჯობია, მიუხედავად იმისა, რომ არჩევითია მაინც უნდა იყოს წინაპირობები, მისთვის გასაკვირი იყო, რომ სასწავლო კურსი „ეკონომიკის სოციოლოგია“ არ იყო სავალდებულო, არის სავალდებულო-არჩევით ბლოკში, მაგრამ სთხოვა განემარტათ რა იყო ამ გადაწყვეტილების მიღების რაციონალური საფუძვლები

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, განაცხადა, რომ კვლევის მეთოდების ბლოკი ძალიან საინტერესოა, სასწავლო კურსი „თვისებრივი კვლევის მეთოდები (1 და 2)“, რომლის შედეგები არის უნარები, ანუ არა მხოლოდ ცოდნა, ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ა.შ., შეფასების მეთოდები არის გამოკითხვა და ერთი ჯგუფური პრეზენტაცია, რომლის ფარგლებშიც სტუდნტთა ჯგუფმა უნდა მოიძიოს ინფორმაცია, გააკეთოს ინტერპრეტაცია, გამოავლინოს კრეატულობა და დაასაბუთოს თემის აქტუალურობა, ეს მეორდება თვისებრივი კვლევის მეთოდების ორივე კურსში, ამასთანავე ძალიან მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი

ჰყავთ. საბჭოს წევრი დიანტერესდა თუ რამდენად პასუხობს უნარების განვითარების შედეგს ზემოაღნიშნული შეფასების სისტემა და რატომ არ არის გათვალისწინიებული პრაქტიკული კომპონენტი. სასწავლო კურსის „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ ერთი ნაწილი ორიენტირებულია მეთოდებზე, მეორე ანალიზზე, თუმცა აქაც პირველი რაოდენობირივი კვლევის მეთოდის შედეგი არის დასკვნის უნარი, კერძოდ რაოდენობრივი კვლევითი მონაცემების ანალიზი და შესაბამისად დასკვნების გამოტანის უნარი, მოცემულია შესაბამისი დავალებაც, დიზაინის შექმნა, მეთოდოლოგია, საველე სამუშაოები და კვლევის შედეგების ანალიზი, თუმცა პირველ კურსში მონაცემთა ანალიზს ეთმობა მხოლოდ ერთი კვირა, მთლიანად მეორე საგანი, „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები 2“ მთლიანად ორიენტირებულია ანალიზზე, შეუძლებელია ერთ კვირაში რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის სწავლება, დაინტერესდა თუ როგორ მოახერხებს სტუდენტი ზემოაღნიშნული კვლევის განხორციელებას. ასევე ძალიან საინტერესო 10 კრედიტიანი სასწავლო კურსია „კვლევითი პროექტი“, სილაბუსში მკაფიოდ არ იყო აღწერილი, მაგრამ როგორც საბჭოს წევრმა გაიგო სტუდენტი ირჩევს ერთ თემას, მიჰყვება მას და გაივლის ყველა ეტაპს, თუმცა ეს ხდება თვისებრივი თუ რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, თუმცა ხდება ორივე პრაქტიკული უნარის განვითარება. დარგობრივი სოციოლოგიის კურსებთან მიმართებით მან განაცხადა, რომ როგორც თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნა დაწესებულებამ, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის თემა, რასაც დაეთანხმა, მაგრამ ასევე წერია, რომ ეკონომიკის სოციოლოგია არ არის აქტუალური, თუმცა შინაართან მიმართებით განმარტა, რომ „ეკონომიკის სოციოლოგიის“ სილაბუსის ტექსტის ნაწილში მითითებულია, რომ სმელზერით ასწავლიან, რომელიც ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოა, დაინტერესდა თუ რამდენად ძლევენ სტურენტები ინგლისურენოვან სახელმძღვანელოს, სავალდებულო ლიტერატურად, როდესაც მხოლოდ ერთია მითითებული, მისი მოსაზრებით ეს ტექნიკური ხარვეზია, მაგრამ, მთლიანად კურსის შინაარსში მითითებულია, რომ სავალდებულო ლიტერატურა ეს არის ჯანდაცვის სოციოლოგიის შესავალი, ასევე ფილმის ჩვენება, რაც ასე არ უნდა დარჩეს. გარდა ამისა, სტუდენტებმა უნდა მომზადონ 20 ქულიანი კვლევითი პროექტი საგნის ფარგლებში, მაგრამ პროექტის ანოტაციაში წერია, რომ სტუდენტებმა უნდა გაანალიზონ საქართველოში ჯანდაცვის პრობლემები, სამედიცინო დაწესებულებების პრობლემური ასპექტები, მისთვის ბუნდოვანია, თუ რატომ ხდება ეკონომიკის მხოლოდ ჯანდაცვასთან მიმართებით სწავლება და თემები, რომლებიც დაფარულია სილაბუსში, რატომ არ ეძლევა სტუდენტს საშუალება, რომ სხვადასვა რამესთან მიმართებაში განიხილოს ეკონომიკა და არა მხოლოდ ჯანდაცვის კუთხით. მეორე სასწავლო კურსის „დანაშაულის სოცილოგია“ შესახებ განაცხადა, რომ მთლიანი კურსი მიჰყვება სოციოლოგიის შესავლის თემატიკას, ანუ განიხილება დანაშაული კლასთან და სტრატიფიკაციასთან, რასასთან და ეთნიკურობასთან, განათლებასთან, ოჯახთან და ა.შ. მიმართულებით მაგრამ მითითებული მასალა არის Giddens-ის სოციოლოგია, სადაც მხოლოდ ერთი თავი ეხება დანაშაულს და რასას, სოციალურ, ეთნიკურ კლასს, დანაშაულთან მიმართებაში არ არის განხილული ისვე როგორც პირველი თემა დანაშაულის ცნების გაგება ისწავლება Durkheim-ის სახელმძღვანელოდან, სოციალური შრომის განაწილება. იგი დაინტერესდა თუ რატომ არის წარმოდგენილი ასეთი მასალების კომპოზიცია. „რელიგიის სოციოლოგიის“ საგანთან მიმართებაში, სამი კვირა წარმოდგენილია სოციოლოგიის მასალები, რომლებსაც ხმარობენ შესავლის კურსებისთვის, სამი კვირა ისწავლება რელიგია, სხვადახვა ავტორების სახელმძღვანელოებიდან, მაშინ, როდესაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქართულენოვანი წიგნი არ არის წარმოდგენილი. სასწავლო კურსი „ვიზუალური სოციოლოგია“ მისი მოსაზრებით ძალიან საინტერესო კურსია, ძირითად ლიტერატურაში მითითებულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, თუმცა შინაარსში მითითებულია რუსულენოვანიც, დაინტერესდა თუ რამდენად აქვთ სტუდენტებს მისი გაგების კომპეტენცია, შინაარსში კი გვხვდება კონტენტ-ანალიზი, დაკვირვება, პირადი დოკუმენტების კვლევა და სხვა, მან იფიქრა, რომ ეს არის ვიზუალურ მონაცემთა ანალიზი, მაგრამ აღნიშნული თემები არ ერთიანდება მასში, ამიტომ დაინტერესდა კურსთან არსებული მიდგომით.

პროგრამის ხელმძღვანელი, ფლორა ესებუა, შრომის ბაზრის ანალიზის შესახებ დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ დოკუმენტი ვერ ჩაითვლებოდა კლასიკურ შრომის ბაზრის კვლევად, რადგან ძალიან დიდ რესურსებს მოითხოვს, მეთოდოლოგიურად სრულად გამართული შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება საკმაოდ დიდი ფუფუნებაა მითუმეტეს საქართველოს ტიპის ქვეყანაში, თუმცა ის ძირითადი საკითხები, რომლებსაც ერთი მხრივ აგროვებენ კურსდამთავრებულები და მეორეს მხრივ რაც ბაზარზე არსებობს, შეეცადნენ, რომ უახლესი მონაცემები აესახათ და ეთქვათ იმის შესახებ, ხუთი სიღრმისეული ინტერიუს საფუძველზე შესაძლებელია თქვან რა არის ის ძირითადი მოთხოვნები, რაც დამსაქმებლებს აქვთ მათი კურსდამთავრებულებისადმი. მათი შრომის ბაზარი პირობითად სამართლებლივი შრომის ბაზრისგან განსხვავდება, მოთხოვნები რაოდენობის თვალსაზრისით საგრძნობლად მცირეა და ამიტომ პროგრამის გუნდის გამოცდილება, რომელიც ჩართულია ემპირიული კვლევების კეთებაში და როგორც დამსაქმებლების განმოცდილება, მეორე მხრივ ინტერვიუები და შრომი ბაზრის ანალიზი აძლევთ იმის შესაძლებლობას, რომ თქვან რა არის ის მოთხოვნები, რაც არსებობს შრომის ბაზარზე. კურსებს რომლებზეც ისაუბრა საბჭოს წევრმა, შესაძელებელია ბევრი რამე ჰქონდეს წინაპირობად, იმ შემთხვევაში თუ კიდევ უფრო სიღრმისეულად სჭირდებათ ადამიანებს, ისწავლონ კონკრეტული საგნები, თუმცა არჩევითი კურსებისათვის, და ადამიანებისთვის, რომლებიც სხვა მიმართულების სტუდენტები არიან და ამ არჩევითი კურსების შესაძლებლობა აქვთ უფრო მარტივი უნდა იყოს, თუ დაუსახავენ წინაპირობას კიდევ უფრო გაართულებს პროცესს, ამასთანავე გამოცდილებამ აჩვენა, რომ სტუდენტები, რომლებიც წლებია ირჩევენ ამ კურსებს სირთულეებს არ აწყდებიან კურსების გავლის დროს, შესაბამისად თუ გაჩნდება იმის საჭიროება, რომ დამატებით მენეჯმერნტის საფუძვლები გავლილი უნდა ჰქონდეთ, აუცილებლად მხედველობაში ექნებათ. ეკონომიკის სოციოლოგიის შესახებ მან განაცხადა, რომ ამ საკითხზე ვიზიტის განმავლობაშიც იყო საუბარი და აბსოლუტურად დაეთანხმა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი კურსია მითუმეტეს საქართველოსათვის და ძალიან სერიოზულ გამოწვევებზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია ამ კურსის გავლა, თუმცა ეს კურსი არის ახალი, განსხვავებით ჯანმრთელობის სოციოლოგიისაგან, რომელიც სავალდებულო კურსების ნაწილშია, დაწებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით ჯერ უნდა დააკვირდნენ როგორ ამუშავდება სასწავლო კურსი და თუ დაინახავენ რომ ეს კურსი კარგად პასუხებს მოთხოვნებს და მასზე მოთხოვნა გაიზარდა და თან დაინახავენ საჭიროებას გადაიტანენ სავალდებულო კურსების ბლოკში, მათი მოსაზრებით ამ ეტაპზე სავალდებულო არჩევითი კურსების კატეგორიაში უნდა დარჩეს. თვისებრივი და რაოდენობრივი კურსების შესახებ, დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ მაღალკვალიფიციური პროფესიონალები უძღვებიან და მთავარი პრიორიტეტი კეთდება იმაზე, რომ მაქსიმალურად პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება უნდა მოხდეს, შესაძლებელია სილაბუსში კიდევ უფრო ნათლად უნდა გაიწეროს, მაგრამ ის, რომ ორივე კურსის შემთხვევაში მინი კვლევების ჩატარება არის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, ამაზე აკეთებენ აქცენტს, მათ შორის პრეზენტაციებიც, მათივე ჩატარებული კვლევის შედეგებზე კეთდება, ეს რეალობაა და დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა, რომელიც მათ პროგრამას აქვს, თან ის გამოცდილება, რომლის გაზიარებაც შეუძლიათ ამ კურსების ავტორებსა და ადამიანებს, რომლებსაც მიყჰავთ ეს კურსები საკმაოდ სერიოზულ ცოდნასა და გამოცდილებას აძლევს სტუდენტებს. რიგ სილაბუსებში ლიტერატურასა და თემებთან დაკავშირებულ საკითხებს შესაძლებელია ნაწილში ტექნიკურ ხარვეზთანაც ჰქონდეთ საქმე, მესამე კურსის ბოლოს და მეოთხე კურსის მანძილზე არსებულ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან დაკავშირებით პრობლემები ნაკლებად აქვთ, რადგან ამ ეტაპისათვის სტუდენტები ფლობენ ინლისურის B2 დონეს და შეუძლიათ ლიტერატურის წაკითხვა. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში შეუძლია თქვან, რომ ასე მკაცრად ლექტორებისთვის იმის მითითება თუ როგორ უნდა შეარჩიონ ლიტერატურა - არ ხდება და არასწორია. დაწესებულება გაითვალისწინებს და ყურადღება გამახვილებული იქნება იმაზე, რომ სხვა ლიტერატურითაც შეიძლება გამდიდრდეს ეს კურსები, თუმცა ის ხარვეზები/გამოწვევები, რომ

ერთიდაიმავე კურსის ფარგლებში თემები/ლიტერატურა ხშირად მეორდება, ეს გამოწვევაა, თუმცა დაწესებულების წინაშე არ დამდგარა ეს საჭიროება, შესაძლებელია საუბარი იყოს ტექნიკურ ხარვეზებზე და შესაძლებელია გარკვეულ ნაწილებში ლიტერატურის უფრო გამდიდრება და განახლება. ვიზუალური სოციოლოგიის შესახებ მან განმარტა, რომ სწორედ ვიზუალური მასალის გაანალიზებისთვის არის გამოყენებული და შესაბამისად გამოიყენება დისკურსის ანალიზიც, რომელიც სხვადასხვა ვიზუალური მონაცემების გაანალიზებას ეთომობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ სხვა ოთხ ინსტიტუციასთან ერთად საკმაოდ მსხვილი კვლევა დაუკვეთა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრს, ხელშეკრულება წარდგენილია საბჭოსთვის გადაგზავნილ მასალებში, შედეგები კონფიდენციალურია, რამდენადაც ეს უნივერსიტეტის მიერ გამოიყენება შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისთვის, დაწესებულებამ ყველა მიმართულებით შეისწავლა შრომის ბაზარი, მათ შორის სოცილოგიის მიმართულებითაც და იყენებენ დაგეგმვის პროცესში პროგრამების განხორციელებისას. საუბარი იყო იმაზე, თუ რატომ არის ეკონომიკის სოციოლოგია არჩევითი, დაწესებულებას წლების განმავლობაში არჩევით კურსად ჰქონდა ჯანდაცვის სოცილოგია, თუმცა სტუდენტების დიდი ინტერესიდან გამომდინარე გადავიდა ის ძირითადი საგნების ბლოკში, თუკი რომელიმე სასწავლო კურსზე იქნება ისეთივე ინტერესი სტუდენტების მხრიდან დაწესებულება მზად არის გადაიტანოს ძირითადი სასწავლო კურსების ბლოკში.

უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, ნუგზარ სხირტლაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება დიდ ყურადღებას დაუთმობს კვლევითი პროექტის განხორციელებას და სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით გამოყოფილი იქნება ის რაოდენობა, რომელიც სრულფასოვნად შეაფასებს პრაქტიკას. დაწესებულებას მოქმედი და ძალიან კარგი პროგრამა აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯემნტი, ამდენად არის გადაძახილი და აქვთ ერთობლივი სურვილი, რომ ჯანდაცვის სოციოლოგიასა და აღნიშნულ პროგრამას შორის იყოს კავშირები და ორივე სპეციალობის სტუდენტებმა ერთად შეასრულონ გარკვეული სტუდენტური სამუშაოები.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ფლორა ესებუამ, კვლევით პროექტში მეთოდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ერთიდაიგივე სტუდენტის მეირ ორივე მეთოდზე მუშაობა ცოტათი რთულია ერთი კურსის ფარგლებში, ამიტომ კურსის დასაწყისში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ ის მეთოდი, რომელზეც ისურვებდნენ მუშაობას, თუმცა ამავდროულად საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მეორე მეთოდი გამოიყენონ, ამიტომ 4 წლის მანძილზე ორივე მეთოდის შესახებ საბაზისო ფუნდამენტური ცოდნა, რომელიც სწავლების ამ საფეხურზე უნდა ჰქონდეთ, ამის საშუალებას პროგრამა იძლევა.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა, დავით ნატროშვილმა, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მესამე რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან აღიქმევა როგორც რჩევა, სილაბუსზე მხოლოდ ავტორები არიან მითითებული და თუ პროგრამას დასჭირდება დამატებითი ხელმძღვანელები დაწესებულებას აქვს ამის რესურსი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, იაგო კაჭკაჭიძვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა სთხოვეს საბჭოს მესამე რეკომენდაცია განეხილათ რჩევად, დაწესებულების მიერ მოწერილ პასუხში კი მესამე რეკომენდაციის შესახებ წერია, რომ ეს 2 ადამიანი არის ავტორი სილაბუსისა, კვლევითი პროექტის მომზადებაში კი ჩართულია მეტი პედაგოგი, ფაქტობრივად ყველა პედაგოგი, რომელსაც შეუძლია კვლევითი პროექტის გაძღოლა შეიძლება გახდეს განმახორციელებელი, რაც ძალიან კარგია, მაგრამ სილაბუსში არ ჩანს და არც ინტერვიუს დროს იყო ამაზე საუბარი, ამიტომ გასცეს რეკომენდაციად, შესაბამისად უნდა ჩაიწეროს სილაბუსში მკაფიოდ, რაც ასევე რეკომენდაციის პირობაა, ამიტომ გაუგებარია თუ რატომ უნდა გადავიდეს რჩევაში.

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა, დავით ნატროშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული რჩევა/რეკომენდაცია არ საჭიროებს დამატებით ისეთ ძალისხმევას უნივერსიტეტის მხრიდან, როგორიც გასწიეს სილაბუსებში ახალი თემატიკების დამატებისას. რადგან არის ამის რესურსი სკოლაში და გაუგებარია რატომ უნდა იყოს რეკომენდაცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შესთავაზა დაერქმიათ მარტივად შესრულებადი რეკომენდაცია.
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა დასძინა, რომ დაწესებულება განიხილავდა, როგორც რჩევას.
უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, ნუგზარ სხირტლაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექვსი პედაგოგის გვარიც კი წარმოადგინა, რომლებიც შესაძლებელია ჩართულნი იყვნენ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასაძინა, რომ ეს უნდა გაიწეროს სილაბუსშიც.
ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანმა განაცხადა, რომ ვერ ხედავდა ამის პრობლემას, რადგან ძალიან მარტივად გასაკეთებელი საკითხია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუკი რჩევასა და რეკომენდაციას შორის წყალგამყოფი რთულად/მარტივად შესრულებაა დაწესებულებას შეეძლო ჩაეთვალა რჩევად.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:**

**დაწყების დრო: 23:47**
**დასრულების დრო: 00:20**

გამომდინარე იქედან რომ საბჭოს სხდომა გაგრძელდა 00:00 სთ-ის შემდგომ, ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მიმართა შუამდგომლობით, წევრების თანხმობით, კენჭისყრის საფუძველზე სხდომა გაგრძელებულიყო 27 ნოემბერსაც. სხდომაზე დამსწრე წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე გაგრძელდა სხდომა.

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ, 1.2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:**

**რეკომენდაციები:**
ა) რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები დაეყრდნოს შრომის ბაზრის რელევანტურ კვლევას;
ბ) აუცილებელია, რომ აღმოიფხვრეს გადაფარვები შემდეგ კურსებს შორის: თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები (მე-13, მე-14 და მე-15 კვირები) და კლასიკური სოციოლოგიური თეორიები (1-ლი, მე-2 და მე-4 კვირები);

გ) აუცილებელია, რომ თანამედროვე სოციოლოგიური თეორიებისა და გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიების კურსების სილაბუსები გამდიდრდეს შემდეგი თეორიებით: სინთეზური თეორია (პიერ ბურდიე), ქსელური საზოგადოების თეორიები (მანუელ კასტელსი), რისკის საზოგადოება (ულრიხ ბეკი), კონფლიქტის თეორიები (დარენდორფი, კოლინზი), ნეოფუნქციონალისტები (ალექსანდერი), ფენომენოლოგიური სოციოლოგია (შუტცი);
დ) რეკომენდირებულია დარგობრივი სოციოლოგიის კურსების ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს კურსების შინაარსთან;
ე) პროგრამის სავალდებულო კომპონენტის - კვლევითი პროექტის - მომზადებაში ჩაერთონ პროგრამაში მონაწილე სხვა პედაგოგებიც (განსაკუთღებით ისინი, ვინც სოციოლოგიური კვლევის მეთოდებისა და სტატისტიკის კურსებს უძღვებიან);
ვ) რეკომენდირებულია კვლევის მეთოდოლოგიების კურსების ფარგლებში შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებული იყოს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევითი უნარების განვითარებაზე პრაქტიკული დავალებების კომპონენტების შემოტანით.

**რჩევები:**
ა)მიზანშეწონილია გაიზარდოს არჩევითობის წილი სასწავლო პროგრამაში. ამ თვალსაზრისით, პროგრამას აქვს ორი გამოწვევა: ა) პროგრამის ე.წ. „თავისუფალი კომპონენტის“ ფარგლებში (110 ECTS კრედიტი) სავალდებულო კურსები ჯამში შეადგენს 100 კრედიტს (!); ბ) ძირითადი სწავლის კომპონენტის ფარგლებში დარგობრივი სოციოლოგია, რაიმე რაციონალურად დასაბუთებული მიზეზების დასახელების გარეშე, გაყოფილია სავალდებულო და არჩევით დარგობრივ სოციოლოგიებად, შესაბამისად, არჩევითობის წილის გაძლიერება პროგრამაში შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: 1. გაიზარდოს პროგრამის თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითი საგნების რაოდენობა; ეს შესაძლებელია მოხდეს მეორე უცხო ენებისთვის სავალდებულო კურსების სტატუსის მოხსნით და მათი გადაქცევით არჩევით კურსებად და ძირითადი სწავლის კომპონენტის ფარგლებში მოქცეული დარგობრივი სოციოლოგიები შეიძლება გახდეს სრულიად არჩევითი (მით უფრო, რომ, როგორც ითქვა, სავალდებულო დაარჩევით კურსებად მათი გაყოფის რაციონალური საფუძველი არ არსებობს);
ბ) მიზანშეწონილია, რომ სტუდენტების გარე სტაჟირება კვლევით კომპანიაში ((კერძოდ, ეისითი კვლევისა და საკონსულტაციო გლობალურ კომპანია), რომელსაც ამჟამად აქვს პარტიზანული ხასიათი, იქცეს სასწავლო პროგრამის ინსტიტუციურ და ლეგალურ ნაწილად (სავალდებულო, ან არჩევითი მოდულის სახით). შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ კომპონენტს (რომელიც უდავიდ მნიშვნელოვანია სტუდენტების პრაქტიკული უნარჩვევების ჩამოყალიბების თალსაზრისით), მიენიჭოს ფორმალური საკრედიტო დატვირთვა;
გ) სასურველია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა, როგორც პროგრამისა და სილაბუსების შექმნის, ისე მათი დახვეწის პროცესში;
დ) მიზანშეწონილია, რომ მოხდეს ყველა ძირითადი სასწავლო ლიტერატურის გაციფრულება, რათა სტუდენტებისთვის ეს ლიტერატურა ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონულადაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოვიდ 19-ის გამოწვეული პანდემიის პირობებში, როდესაც სწავლა მიმდინარეობს დისტანციურ რეჟიმში.

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 27 ნოემბრის 00:25 საათზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა